



საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ახალი წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების გზამკვლევი



აწსუ-ს ხარისხის
უზრუნველყოფის
სამსახური



ქუთაისი
2017

„თუ სტუდენტმა უნდა მიაღწიოს მისთვის სასურველ შედეგს გონივრულად ეფექტური გზით, მაშინ მასწავლებლის ფუნდამენტური ამოცანაა ჩართოს სტუდენტი ისეთ სასწავლო აქტივობაში, რომელიც მას ასეთ შედეგთან მიიყვანს.“

(Shuell, 1986)

შინაარსი

შესავალი

1. შეფასების მიზნები	4
2. შეფასების ძირითადი პრინციპები	5
3. შეფასების ძირითადი მეთოდები და კრიტერიუმები	9
✚ ტესტი	10
✚ ესე	12
✚ ქეისი	13
✚ პრეზენტაცია	13
✚ რეფერატი (წერიტი ნაშრომი)	15
✚ ქვიზი	15
✚ დისკუსია	16
✚ ზეპირი გამოკითხვა	17
✚ როლური თამაში	17
✚ სიმულაცია	18
✚ ფორმულარი	19
✚ პორტფოლიო	19
✚ სასემინარო მოხსენება	21
✚ სასწავლო / პროფესიული / პედაგოგიური / სხვადასხვა პრაქტიკა	21
✚ პრაქტიკის შეფასება	21
4. სტუდენტთა პერსონალური განვითარების თვითშეფასება	23
5. უკუკავშირი	24
6. უცხო სიტყვათა ლექსიკონი	26
გამოყენებული ლიტერატურა	29
დანართები	

შესავალი

ბოლონის შეთანხმების (1999) მიზანია ევროპაში უმაღლესი განათლების ეფექტურობის ამაღლება. განათლებაში საერთაშორისო დონეზე მიმდინარე ცვლილებების შედეგად ხდება მასწავლებელზე ორიენტირებული ტრადიციული მიდგომიდან ახალ, სტუდენტზე ორიენტირებულ მიდგომაზე გადასვლა. ასეთ შემთხვევაში აქცენტი კეთდება არა მხოლოდ სწავლებაზე, არამედ იმაზეც თუ, რისი გაკეთება შეუძლია სტუდენტს მოდულის ან პროგრამის დასრულების შემდეგ. განაცხადი, რომელსაც სწავლის შედეგებს უწოდებენ, გამოიყენება იმის გამოსახატავად, თუ რის მიღწევას უნდა მოელოდეს სტუდენტი და როგორ უნდა მოახდინოს ამ მიღწევების დემონსტრირება.

შესაბამისად, სწავლის შედეგი განისაზღვრა, როგორც განაცხადი სტუდენტის მოლოდინის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს, რას უნდა იგებდეს/იაზრებდეს და რისი დემონსტრირება უნდა შეძლოს მან სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ (ECTS, 2005).

მნიშვნელოვანია სწავლის შედეგების დაკავშირება სწავლება-სწავლის პროცესთან და შეფასებასთან. ცხადია, უნდა გვქონდეს გარკვეული სახის შეფასების ინსტრუმენტი ან ტექნიკა, რათა განვსაზღვროთ თუ რა ზომით მიაღწია სტუდენტმა სწავლის შედეგებს.

სასწავლო კურსის პედაგოგისათვის გამოწვევას წარმოადგენს სწავლების მეთოდების, შეფასების ტექნიკის, შეფასების კრიტერიუმებისა და სწავლის შედეგების შეთანაწყობა. აკადემიური თავისუფლების ფარგლებში, თითოეული ლექტორი თავად ირჩევს შეფასების მეთოდებს, განსაზღვრავს, ნათლად და მკაფიოდ აყალიბებს შეფასების კრიტერიუმებს და მათ შესაბამის ქულებს, რაც გაწერილი უნდა იყოს სილაბუსში. ამავ დროს, მას უნდა გააჩნდეს მყარი არგუმენტები შერჩეული შეფასების მეთოდების და კრიტერიუმების შესახებ.

სწავლებას, შეფასებასა და სწავლის შედეგებს შორის კავშირი გვეხმარება, რომ მთელი სასწავლო გამოცდილება უფრო გამჭვირვალე და მნიშვნელოვანი გავხადოთ სტუდენტისთვის. ამ სფეროში ბუნდოვანება (სიცხადის ნაკლებობა) ყოველთვის ასოცირდება ნეგატიურ შეფასებასთან, სწავლების სირთულეებთან და სტუდენტების დაბალ აკადემიურ მიღწევებთან. იმისათვის, რათა სტუდენტმა ზუსტად გააცნობიეროს თუ როგორ მიაღწიოს სწავლის შედეგებს, საუკეთესო გზა არის შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების მკაფიოდ ჩამოყალიბება.

აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის მისიაა „მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება უმაღლესი განათლების თითოეულ საფეხურზე“, რომლის მისაღწევად აუცილებელია სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების ხარისხის პერმანენტული ზრდა.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელდა უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროგრამების, შუალედური და დასკვნითი საგამოცდო საკითხების სილაბუსებით განსაზღვრულ თემატიკასთან კავშირის მონიტორინგი. გაანალიზებულ იქნა შესაბამის სილაბუსებში წარმოდგენილ სწავლის შედეგებს, შეფასების ფორმებს, რუბრიკასა და კრიტერიუმებს შორის შესაბამისობა. ანალიზის შედეგებმა აჩვენა წინამდებარე გზამკვლევის შექმნის აუცილებლობა.

გზამკვლევაში წარმოდგენილია სტუდენტის ცოდნის შეფასების მიზნები და ფორმები; განხილულია შეფასების სხვადასხვა მეთოდები და კრიტერიუმები. მოცემულია რეკომენდაციები სტუდენტთა პერსონალური განვითარების თვითშეფასების შესახებ და გაანალიზებულია უკუკავშირის, როგორც წარმატების მიღწევის მექანიზმის მნიშვნელობა.

შეფასება

სტუდენტის შეფასების მეთოდები დღემდე მეცნიერთა, მკვლევართა და პედაგოგთა დავის საგანია, თუმცა ყველა თანხმდება, რომ ის სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესის შემადგენელი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია.

1. შეფასების მიზნები

შეფასება გვაჩვენებს სტუდენტის მიღწევების შესაბამისობას დასახულ შედეგებთან, სურათს მათი პროგრესისა და/ან რეგრესის, პრობლემების შესახებ, აგრეთვე იძლევა ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ რამდენად ეფექტიანია ის მეთოდიკა, რომელსაც იყენებს პედაგოგი.

შეფასების მიზნები განსხვავებულია სტუდენტთათვის, ლექტორთათვის და უნივერსიტეტისთვის.

შეფასების მიზნები სტუდენტთათვის:

- შეფასება ხელს უწყობს სასწავლო მასალის ათვისების სისტემატურობასა და რიტმულობას
- შეფასება იძლევა სასწავლო კურსის ათვისების მდგომარეობის ყოველდღიური შეფასების შესაძლებლობას;
- შეფასება ეხმარება სტუდენტს მთელი სემესტრის განმავლობაში შეიტანოს კორექტივები მიმდინარე დამოუკიდებელი მუშაობის ორგანიზაციაში;
- შეფასება იძლევა საშუალებას, ყოველდღიურად შეფასდეს სტუდენტის მიერ გაწეული მუშაობა და სასწავლო კურსით გათვალისწინებული საკითხების ათვისების ხარისხი.
- ყოველდღიური შეფასება ხელს უწყობს სტუდენტის მოტივაციის ზრდას და უვითარებს სწავლის უნარს.

შეფასების მიზნები ლექტორთათვის:

- შეფასება იძლევა კონკრეტული დისციპლინის სასწავლო პროცესის რაციონალურად დაგეგმვის შესაძლებლობას;
- შეფასება არის თითოეული სტუდენტის მიერ შესასწავლი მასალის ათვისების ხარისხის კონტროლის შესაძლებლობა;
- შეფასების შედეგები ნათლად აჩვენებს ლექტორს, თუ რა კორექტივების დროული შეტანაა საჭირო სასწავლო პროცესის ორგანიზაციაში და მეთოდიკაში;
- შეფასება იძლევა თითოეული სტუდენტის ცოდნისა და უნარების დონის ობიექტური და მრავალმხრივი შეფასების შესაძლებლობას;

შეფასების მიზნები დეკანატებისა და დეპარტამენტებისათვის:

- შეფასება იძლევა სასწავლო პროცესის კონტროლის გაუმჯობესების შესაძლებლობას;
- შეფასება იძლევა სასწავლო პროცესის ორგანიზებაში ოპერატიული კორექტივების შეტანის შესაძლებლობას;
- შეფასების შედეგები იძლევა სტუდენტების წახალისების (სტიპენდიის დანიშვნა, ტრენინგებში ჩართვა, საზღვარგარეთ გაგზავნა, და სხვა) საშუალებას და ობიექტურ საფუძვლებს;

2. შეფასების ძირითადი პრინციპები

სტუდენტის მიღწევების შეფასებისას უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული (ECTS) სისტემით (ბრიუსელი; 2005.14.02); „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით (2004.21.12) და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით “უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესი” (2016.29.01 და 2016.18.08 ცვლილებების გათვალისწინებით) და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში განსაზღვრული წესით (ბრძანება №01-04-76; 21.10.2016). (იხ. დანართი №1 და №2).

გზამკვლევაში გამოყენებული ტერმინები თანხვედრაშია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესში მოცემულ ტერმინებთან.

კრედიტი – ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ;

საკონტაქტო საათი – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით სტუდენტის სასწავლო საქმიანობისთვის განსაზღვრული დრო;

დამოუკიდებელი საათი – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობის გარეშე სტუდენტის სასწავლო საქმიანობის დრო;

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებია სასწავლო კომპონენტი და სამეცნიერო-კვლევითი/კვლევითი კომპონენტი;

სასწავლო კომპონენტი – საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი, რომელიც წარმოდგენილია სასწავლო კურსის, მოდულის, პრაქტიკის, შემოქმედებითი/ პრაქტიკული სახის პროექტის, საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომის ან სხვა კომპონენტის სახით;

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი – მაგისტრატურის და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი, რომელიც წარმოდგენილია სამაგისტრო პროექტი/ნაშრომის, დისერტაციის ან შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის/აქტივობის სახით;

სტუდენტის სასწავლო დატვირთვა – დრო, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა უნდა ეფუძნებოდეს დამოუკიდებელ და საკონტაქტო საათებს;

სწავლება-სწავლის მეთოდი – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პირის მიერ სტუდენტისთვის, ცოდნის გადაცემის საშუალება, როგორცაა: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, ელექტრონული სწავლება და სხვ., სწავლება-სწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს (დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, სემინარი და სხვ.);

შეფასების ფორმები – შეფასების ფორმებია შუალედური შეფასება (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) და დასკვნითი შეფასება, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას;

შეფასების კომპონენტები – შეფასების ფორმების ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს, რომელიც შეიძლება აერთიანებდეს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ზეპირი/წერილი გამოცდა, ზეპირი/წერილი გამოკითხვა, აუდიოვიზუალური ნაწარმოების შექმნა, სპექტაკლი, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.);

შეფასების მეთოდი – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოსაყენებელი საშუალება/საშუალებები (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, აუდიოვიზუალური ნაწარმოების წარმოდგენა, სპექტაკლში მონაწილეობა/დადგმა, საკონცერტო შესრულება, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა და სხვ.);

შეფასების კრიტერიუმი – შეფასების მეთოდის საზომი ერთეული, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

სასწავლო კომპონენტის განმახორციელებლის მიერ სტუდენტის შეფასება პრაქტიკულად სილაბუსით განსაზღვრული სწავლის შედეგების შეფასებაა; შეფასების სხვადასხვა კომპონენტების და მეთოდების საშუალებით გამომცდელი აფასებს, თუ რამდენად აითვისა სტუდენტმა საგანი და მიაღწია სწავლის შედეგებს. მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტი სწავლობდეს არა მხოლოდ სასესიო კვირაში, არამედ მთელი სემესტრის განმავლობაში. შესაბამისად, სასურველია გამოვიყენოთ შეფასების მეთოდების მრავალფეროვნება.

შეფასების კონცეფცია უნდა აიგოს სწავლის მოსალოდნელი შედეგების გათვალისწინებით და იგი მჭიდრო კავშირში უნდა იყოს სწავლება-სწავლის შესაბამის მეთოდთან. ამასთან, არ არის აუცილებელი თითოეული შედეგისთვის ცალკე მეთოდის გამოყენება. ერთი მეთოდის გამოყენებით

შეიძლება გაიზომოს რამდენიმე შედეგი. სწავლის შედეგების მისაღწევად რეკომენდებულია გამოვიყენოთ სწავლებისა და სწავლის შემდეგი მეთოდები:

სწავლის შედეგი	სწავლებისა და სწავლის მეთოდი
ცოდნა და გაცნობიერება	<p>ცოდნისა და გაცნობიერების შედეგის მისაღწევად მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს შემდეგი მეთოდები:</p> <ul style="list-style-type: none"> • ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი; • წიგნზე მუშაობა; • წერითი მუშაობა; • ვერბალური ახსნა-განმარტება; • დემონსტრირება; • შემთხვევის ანალიზი (Case study); • კვლევა; • დამოუკიდებელი სწავლა; • პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL); • ელექტრონული სწავლება (E-learning); • გონებრივი იერიში (Brain storming).
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის შედეგის მისაღწევად მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს შემდეგი მეთოდები:</p> <ul style="list-style-type: none"> • მენტალური რუკა (Mind Mapping); • ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება (IBD); • როლური და სიტუაციური თამაშები; • შემთხვევის ანალიზი (Case study); • ელექტრონული სწავლება (E-learning); • გონებრივი იერიში (Brain storming); • ევრისტიკული მეთოდი; • გუნდური (collaborative) მუშაობა; • დისკუსია/დებატები; • სავსე მუშაობა.
დასკვნის უნარი	<p>დასკვნის უნარის შედეგის მისაღწევად მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს შემდეგი მეთოდები:</p> <ul style="list-style-type: none"> • კვლევა; • ანალიზი/სინთეზი; • შემთხვევის ანალიზი (Case study); • პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL).
კომუნიკაციის უნარი	<p>კომუნიკაციის უნარის შედეგის მისაღწევად მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს შემდეგი მეთოდები:</p> <ul style="list-style-type: none"> • პრეზენტაციები (ზეპირი, Power Point და სხვა); • დისკუსია/დებატები; • გუნდური მუშაობა; • როლური და სიტუაციური თამაშები.
სწავლის უნარი	<p>სწავლის უნარის შედეგის მისაღწევად მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს შემდეგი მეთოდები:</p> <ul style="list-style-type: none"> • ტუტორიალი; • კვლევა; • დამოუკიდებელი სწავლა (ესეს, რეფერატის, პროექტის, მოხსენების მომზადება; სამაგისტრო ნაშრომის მომზადება).
ღირებულებები	<p>ამ კომპეტენციის ფარგლებში დარგის მეთოდოლოგიური და ეთიკური საკითხების ასპექტები, დარგობრივი სფეროს სტანდარტები და ღირებულებები განიხილება ლექციების დროს. ამასთან მიზანშეწონილია შემდეგი მეთოდების გამოყენება:</p> <ul style="list-style-type: none"> • პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება; • დისკუსია-დებატები, სადაც სტუდენტი შეძლებს წარმოაჩინოს ეთიკური ნორმების გაგებისა და არგუმენტაციის უნარ-ჩვევები.

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

შეფასების სისტემა ითვალისწინებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;

- ა.ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
- ა.გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;
- ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
- ა.ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – 0-40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

პროგრამის თითოეულ კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის შეფასებისათვის გამოიყენება შემდეგი ფორმები: შუალედური შეფასება და დასკვნითი გამოცდა. შუალედური შეფასების მაქსიმალური ქულა შეადგენს 60, ხოლო დასკვნითი გამოცდის - 40 ქულას.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა. დასკვნით გამოცდაზე 15 ქულაზე ნაკლები შეფასების მქონე სტუდენტი, მიუხედავად მისი მიღწევებისა შეფასების სხვა კომპონენტებში, შეფასდეს FX-ით (ვერ ჩააბარა).

სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. გამოცდების სალიკვიდაციო პერიოდი იწყება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

შუალედური შეფასება მოიცავს შემდეგ ფორმებს:

- ✓ აქტივობა;
- ✓ დამოუკიდებლად შესრულებელი სამუშაოები;
- ✓ შუალედური გამოცდა;

ა. აქტივობა – ფასდება **X** ქულით და გულისხმობს ლექციებზე, პრაქტიკულსა და ლაბორატორიულ მეცადინეობებზე ლექტორის მიერ დაგეგმილ სამუშაოებში (სემინარი, კოლოკვიუმი, პრეზენტაცია, ქეისი, საკონტროლო წერა, ტესტური შემოწმება და სხვ.) სტუდენტის მონაწილეობა/ჩართულობასა და ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოვლენას. სამუშაოთა ტიპი, რაოდენობა (არანაკლებ ხუთისა), ჩატარებისა და შეფასების მეთოდები (ინტერაქცია, დისკუსია, დებატი, ღია წიგნი და სხვ.) და კრიტერიუმები ლექტორის მიერ განისაზღვრება სილაბუსში;

ბ. დამოუკიდებლად შესრულებელი სამუშაო (კაზუსი, რეფერატი, ნარკვევი, ესე, პროექტი და ა.შ.) ფასდება **X** ქულით. მოწმდება სამუშაოს დამოუკიდებლად შესრულების შედეგად სტუდენტის მიერ გამოვლენილი ცოდნა, მისი პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევა. სამუშაოთა ტიპი, რაოდენობა, ჩატარებისა და შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები ლექტორის მიერ განისაზღვრება სილაბუსში;

გ. შუალედური გამოცდა – სტუდენტის მიერ შეძენილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების საშუალოდ შეფასებაა, შუალედური გამოცდა ტარდება წერითი ან შერეული ფორმით და ფასდება **X** ქულით. შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები ლექტორის მიერ განისაზღვრება სილაბუსში;

ე. დასკვნითი გამოცდა – დასკვნითი გამოცდა (ზეპირი, წერითი ან შერეული ფორმით) ტარდება სემესტრის ბოლოს, სასწავლო პროცესის აკადემიური კალენდრით განსაზღვრულ ვადებში. დასკვნითი გამოცდა ფასდება 40 ქულით. შეფასების კრიტერიუმები ლექტორის მიერ განისაზღვრება სილაბუსში;

სხვადასხვა სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები, კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, განსხვავებულია. ვთქვათ, პრაქტიკული ტიპის კურსებში გამოკითხვის ტესტურ

ფორმატს შეიძლება ჩაენაცვლოს სხვა ტიპის წერითი დავალებები, მაგალითად, საშინაო დავალებები, ან ექსპერიმენტის ჩატარება, მონაცემები, მათი დამუშავება და ანალიზი და სხვ.

შეფასების მიზნები უნდა განხორციელდეს სამართლიანობის პრინციპების დაცვით, ამასთან ECTS პირობებში, რომელიც წარმოადგენს დინამიური განათლების პროცესის მოსალოდნელი შედეგების პროცესუალური და შედეგობრივი კონტროლის საშუალებას, დიდი მნიშვნელობა ენიჭება შეფასების სისტემატურობას.

ამდენად შეფასება უნდა იყოს: **სანდო, ვალიდური, ობიექტური, გამჭვირვალე და სისტემატური.**

შეფასება	იმ შემთხვევაში თუ :
სანდოა	შესასრულებელი დავალება/საკითხები და ინსტრუქციები ნათლად და მკაფიოდაა ჩამოყალიბებული; <ul style="list-style-type: none"> ✓ მკაფიოდაა განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმები; ✓ შეფასების შედეგები იდენტურია, მიუხედავად იმისა, თუ ვინ, სად ან როდის აფასებს სტუდენტის მიერ ერთი და იმავე საკითხის ცოდნას. ✓ შეფასება სანდო იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: სხვადასხვა პედაგოგი ერთნაირ პასუხს ერთნაირად აფასებს და/ან ✓ ერთი პედაგოგი ერთსა და იმავე პასუხს ყოველთვის ერთნაირად აფასებს; ✓ ლექტორი ფლობს სათანადო კვალიფიკაციასა და გამოცდილებას.
ვალიდურია	ლექტორს ზუსტად აქვს განსაზღვრული შეფასების საგანი; <ul style="list-style-type: none"> ✓ ლექტორი აფასებს ზუსტად იმას, რის შეფასებასაც იგი ამ კონკრეტულ შემთხვევაში ისახავს მიზნად;
ობიექტურია	შეფასების კრიტერიუმები მკაფიო და გაზომვადია; <ul style="list-style-type: none"> ✓ შეფასების შედეგები არ არის დამოკიდებული შემფასებლის სუბიექტურ მოსაზრებებზე, მის პიროვნულ დამოკიდებულებებზე.
გამჭვირვალეა	შეფასების მექანიზმები და კრიტერიუმები წინასწარ არის ცნობილი ყველა სტუდენტისთვის;

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შეფასება უნდა იყოს სისტემატური და გეგმაზომიერი პროცესი, რომელიც სტუდენტს გამოუმუშავებს ყოველდღიურ მზაობას გამოავლინოს ცოდნა და უნარები, ამასთან განსაზღვროს საკუთარი შრომის ეფექტიანობა, ხოლო პედაგოგს – განხორციელოს მონიტორინგი სტუდენტის მიერ ცოდნა-უნარების შეძენისა და განვითარების პროცესზე.

3. შეფასების ძირითადი მეთოდები და კრიტერიუმები

შეფასება, როგორც სისტემატური და გეგმაზომიერი პროცესი, შემდეგი სქემის მიხედვით უნდა წარიმართოს:



ანუ:

1. რას ვაფასებთ?

უპირველეს ყოვლისა უნდა დაზუსტდეს, თუ რას ვაფასებთ (მაგალითად, ცოდნას, გაცნობიერებას, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს, კომუნიკაციის უნარს, დასკვნის გამოტანის უნარს, ღირებულებებს ან რამდენიმეს ერთად);

2. როგორ ვაფასებთ?

შემდეგ უნდა განისაზღვროს მეთოდები, რომლებიც ყველაზე კარგად შეესაბამებიან ჩვენი შეფასების ობიექტსა და მიზანს, ანუ დადგინდეს თუ რა მეთოდით ვაფასებთ.

3. რა კრიტერიუმებით ვაფასებთ?

შეფასების საგნის/მიზნის განსაზღვრისა და შეფასების მეთოდების დადგენის შემდეგ უნდა შემუშავდეს კრიტერიუმები, რომელნიც ყველაზე კარგად მიესადაგებიან შეფასების ობიექტისა და მეთოდის სპეციფიკას;

4. როგორ ვზომავთ კრიტერიუმებს?

და ბოლოს, უნდა განისაზღვროს ქულები, რომლებიც უზრუნველყოფენ კრიტერიუმების დაკმაყოფილების დონის/ხარისხის გაზომვადობას.

აკადემიური თავისუფლების ფარგლებში, თითოეული ლექტორი თავად ირჩევს შეფასების მეთოდებს, განსაზღვრავს, ნათლად და მკაფიოდ აყალიბებს შეფასების კრიტერიუმებს და მათ შესაბამის ქულებს, რაც გაწერილი უნდა იყოს სილაბუსში. ამავე დროს, ლექტორს უნდა გააჩნდეს მყარი არგუმენტები შერჩეული შეფასების მეთოდების და კრიტერიუმების შესახებ.

შეფასების კრიტერიუმი შეფასების უმნიშვნელოვანესი პარამეტრია, რომლის მეშვეობით დგინდება შესაფასებელი საგნის/ობიექტის ობიექტური „წონა“. კრიტერიუმი არის განსჯისა და შეფასების საშუალება. განათლების სისტემაში შეფასების კრიტერიუმი გულისხმობს სასწავლო პროცესში მიღებული ცოდნის დონის, ხარისხისა და ათვისებული მასალის მოცულობის დადგენას. სხვადასხვა სასწავლო კურსის შეფასების კრიტერიუმები, კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, განსხვავებულია.

უნივერსიტეტში სასწავლო პროცესი წარიმართება სხვადასხვა ფორმატით, შესაბამისად მათი შეფასება შესაძლებელია მოხდეს შეფასების სხვადასხვა ხერხით (ფორმით).

კრიტერიუმების შექმნისას გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი მახასიათებლები და მოთხოვნები, კერძოდ:

შეფასების კრიტერიუმი:

- ცოდნისა და გაცნობიერების, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, დასკვნის უნარის, სწავლის უნარისა და ღირებულებების შეფასების მახასიათებელი, საზომი და ინსტრუმენტია;
- იქმნება სპეციფიკური მიზნებისათვის;
- განსხვავებულია შეფასების საგნის, მეთოდის მიხედვით და ეფუძნება კურსის სპეციფიკას;
- უნდა ჩამოყალიბდეს მკაფიოდ, რელევანტურად და ეხმარებოდეს სტუდენტს წინასწარ იცოდეს, თუ რისი წარმოჩინება ევალება მას;
- მეთოდთა მრავალფეროვნებას უნდა შეესაბამებოდეს კრიტერიუმების მრავალფეროვნება;
- უნდა იყოს გაზომვადი.

შეუძლებელია მეთოდთა მრავალფეროვნებისათვის შეიქმნას უნიფიცირებული კრიტერიუმები

შეფასების თოთოეული მეთოდისათვის განსაზღვრული კრიტერიუმები სასურველია ჩამოყალიბდეს შეფასების სქემების სახით, რაც პედაგოგს აძლევს იმის საშუალებას, რომ სტუდენტის პასუხის ხარისხი შეაფასოს და გაზომოს რამდენიმე კრიტერიუმის საშუალებით.

ტესტი

ცოდნის შემოწმებისა და შეფასებისათვის მრავალი სხვადასხვა საშუალება გამოიყენება. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და პოპულარულია ტესტირება. კლასიკური განმარტებით, ცოდნის დონის შეფასების ტესტი, ესაა დავალებათა ერთობლიობა, რომელიც ორიენტირებულია სწავლების პროცესში სასწავლო მასალის ათვისების დონის შეფასებაზე.

რადგანაც ტესტი ტესტური დავალებების, შეკითხვების ერთობლიობაა მეტად მნიშვნელოვანია, ის თუ როგორ არის ეს შეკითხვები შერჩეული. ხარისხიანი ტესტი შემდეგ ძირითად კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს: უნდა იყოს ვალიდური, საიმედო და დიფერენცირებული. სხვა სიტყვებით, ტესტში შეკითხვები ისე უნდა იყოს ჩართული, რომ ის მორგებული იყოს გამოსაცდელ კონტინგენტზე, არ უნდა იყოს არც ძალიან რთული და არც მარტივი და უნდა იძლეოდეს სხვადასხვა დონის ცოდნის მქონე სტუდენტების დიფერენცირების შესაძლებლობას.

ტესტური დავალების შედგენისას გათვალისწინებული უნდა იყოს:

- ✓ ცალსახა დავალებები - ტესტური დავალება არ უნდა იყოს ორაზროვანი;
- ✓ ცალსახა პასუხები - გამორიცხული უნდა იყოს პასუხის სხვადასხვაგვარი ფორმულირება;
- ✓ ნასწავლთან შესაბამისობა: ტესტში ჩართული არ უნდა იყოს ისეთი პასუხები, რომლის სისწორის დასაბუთებაც, ტესტირების მომენტისათვის, სტუდენტს არ შეეძლება;
- ✓ არასწორი პასუხები უნდა იყოს სწორ პასუხთან მიახლოებული;
- ✓ უნიკალურობა: კითხვები არ უნდა იმეორებდეს სახელმძღვანელოში მოცემულ ფორმულირებებს;

ტესტური დავალებების ტიპები

შესაძლებელია შემდეგი სახის ტესტური დავალებების შექმნა:

1. მრავალარჩევნიანი (რამდენიმე შესაძლო);
2. რიცხვითი;
3. შესაბამისობითი;
4. გამოთვლითი;
5. მოკლე პასუხი;
6. ჭეშმარიტი/მცდარი;
7. ჩართული პასუხები;
8. ესე.

მრავალარჩევნიანი ტიპის ტესტი

ზემოთ ჩამოთვლილ ტიპებს შორის ყველაზე გავრცელებული ე.წ. მრავალარჩევნიანი შეკითხვაა. ხშირად ტესტს ამ ტიპის შეკითხვასთან აიგივებენ. მრავალარჩევნიანი შეკითხვა ისეთი ტესტური დავალებაა, რომელშიც მოცემულია ერთი შეკითხვა ორი ან მეტი სავარაუდო პასუხით და სტუდენტს მათგან ერთი ან მეტი პასუხის არჩევა შეუძლია. ამ ტიპის ტესტური დავალების შექმნა ყველა საგანში შეიძლება. მთავარია ზუსტად და ცალსახად იყოს ჩამოყალიბებული ტესტური დავალების შეკითხვა და სავარაუდო პასუხები. კარგ პრაქტიკად ითვლება სწორი, ასევე არასწორი პასუხისათვის, უკუკავშირების დართვა. ასეთი სახით შედგენილი ტესტური დავალება ცოდნის არა მხოლოდ შემოწმების, არამედ მისი ამაღლების ფუნქციასაც ითავსებს.

სისტემაში გათვალისწინებულია ტესტური დავალების შეკითხვაში სხვადასხვა ტიპის გრაფიკული გამოსახულების ჩართვის შესაძლებლობაც.

სავარაუდო პასუხებიდან სწორი შეიძლება იყოს ერთი, ან რამდენიმე. აქედან გამომდინარე, ამ ტიპის შეკითხვა ორ ქვეტიპად შეიძლება დავყოთ:

- ✓ შეკითხვა ერთი სწორი პასუხით;
- ✓ შეკითხვა რამდენიმე სწორი პასუხით.

რიცხვითი ტიპის ტესტი

შეკითხვა არის რიცხვითი ტიპის, თუ პასუხი არის კონკრეტული რიცხვი. ეს რიცხვი შეიძლება მიღებული იქნას გამოთვლების გარეშე ან გარკვეული მათემატიკური გამოთვლების შედეგად. შესაძლებელია პასუხისათვის ცდომილების ინტერვალის მითითება იმ შემთხვევებისათვის, როდესაც შეკითხვაზე პასუხი გარკვეული რიცხვითი დიაპაზონიდან შეიძლება იყოს.

მოკლე პასუხის ტიპის ტესტი

ასეთი ტიპის შეკითხვაზე პასუხი შეიძლება იყოს სიტყვა ან ფრაზა, რომელიც წინასწარგანსაზღვრულ მისაღებ პასუხთაგან ერთ-ერთს ზუსტად ემთხვევა. ამ ტიპის შეკითხვაზე სტუდენტმა უნდა გასცეს მოკლე პასუხი.

გამოთვლითი ტიპის ტესტი

გამოთვლითი ტიპის შეკითხვის გამოყენება მიზანშეწონილია მაშინ, როდესაც გამოსაცდელი პირებისათვის ერთი და იგივე მათემატიკური გამოსახულების სხვადასხვა ვარიანტის მიწოდება არის საჭირო. ცვლადები, რომელთაც ტესტირების პროცესში რიცხვების სხვადასხვა მნიშვნელობები ჩაენაცვლება, მოცემულ მათემატიკურ გამოსახულებაში ფიგურულ ფრჩხილებში უნდა იყოს მოქცეული.

შესაბამისობითი ტიპის ტესტი

შესაბამისობითი ტიპის შეკითხვები სტუდენტისაგან მოცემული შეკითხვების მოცემულ პასუხებთან დაკავშირებას მოითხოვს.

ჭეშმარიტი/მცდარი ტიპის ტესტი

ჭეშმარიტი/მცდარი ტიპის შეკითხვა, ასევე, ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ტიპის შეკითხვაა. ასეთი ტესტური დავალების ფორმირება საკმაოდ მარტივია და შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ორი სავარაუდო პასუხი - ჭეშმარიტი ან მცდარი.

ესეს ტიპის ტესტი

ესეს ტიპის შეკითხვების პასუხს შედარებით დიდი მოცულობის ტექსტი წარმოადგენს. ასეთ შეკითხვაზე პასუხის შეფასება არ ხდება კომპიუტერის მიერ, მას მასწავლებელი თვითონ, აფასებს.

ტესტის შეფასების ზოგადი კრიტერიუმი:

მაგალითად: პედაგოგი ტექსტში სწორ პასუხს ანიჭებს ქულას, ნამუშევარი ფასდება თითოეულ ტესტზე სწორად გაცემული პასუხების ქულათა ჯამით.

ესე

ესე (ფრანგ. essai; ინგლ. essay, ცდა, ნარკვევი; ლათ. exigi, ვწონი) სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების (ანალიზი, სინთეზი, ცოდნის შემოქმედებითად გამოყენების უნარი) ეფექტური მეთოდია. მისი გამოყენება სწავლებაში ხელს უწყობს სტუდენტების მიერ აზრის მკაფიოდ და გამართულად, ლოგიკური თანმიმდევრობით ჩამოყალიბების, ეკონომიური ტერმინოლოგიით მეტყველების ჩვევების განვითარებას, ასევე ესე აჩვენებს სტუდენტებს მაგალითების, ციტატების გამოყენებას. ესე გულისხმობს ავტორის მიერ განსახილველი თემის შესახებ საკუთარი აზრის, პირადი სუბიექტური შეფასების დაფიქსირებას. ის იძლევა მასალის არასტანდარტული, შემოქმედებითი და ორიგინალური გზით გაშუქების საშუალებას. შეფასების სხვა მეთოდებისგან განსხვავებით, ესე მიზანია სტუდენტების შემეცნებითი საქმიანობის ნაყოფიერი და შემოქმედებითი ნაწილის დიაგნოსტიკა, რაც გულისხმობს ინფორმაციის ანალიზის, მისი ინტერპრეტაციის, არგუმენტების აგების, ფაქტების, მიდგომებისა და ალტერნატივების შედარების, დასკვნების ფორმულირების უნარების შეფასებას.

განასხვავებენ ამ მეთოდის ოთხი ტიპს:

- I. დამოუკიდებელი შემოქმედებითი მუშაობა ლექტორის მიერ წინასწარ განსაზღვრულ თემაზე /ფასდება ქულით/;
- II. წერითი დავალება შესწავლილი საგანმანათლებლო მასალის ირგვლივ, /ფასდება ქულით/;
- III. დროის საკმაოდ მოკლე მონაკვეთში შესრულებული თავისუფალი წერა ახალი მასალის უკეთ გაღრმავებისა და დამუშავებისათვის /უკუკავშირი/;
- IV. დროის მოკლე მონაკვეთში შესრულებული თავისუფალი თემა ლექციის შეჯამების და თემაზე ჩამოყალიბებული აზრებისა და დასკვნების დაფიქსირების მიზნით მაგალითად, სტუდენტებმა უნდა დაწერონ რა გაიგეს ახალი მოცემულ თემაზე და დასვან ერთი კითხვა, რომელზეც მათ არ მიუღიათ პასუხი ლექციაზე /უკუკავშირი/.

ესეს შეფასების კრიტერიუმები მაგალითად:	მაქსიმალური 5 ქულა. მაგალითად:
დავალების პირობა სწორად, სრულყოფილად არის გააზრებული, ნაწერი შინაარსით შეესაბამება მოცემულ საკითხს და მთლიანად არის ფოკუსირებული თემის ირგვლივ, წარმოდგენილია მოცემული საკითხის სრულყოფილი ანალიზი, ავტორის პოზიცია გამყარებულია შესაბამისი მსჯელობით, არგუმენტებით, ნაწერი მთლიანად არის გამართული სტრუქტურულად, აზრები მწყობრად, თანმიმდევრულად არის გადმოცემული, თხზულების ნაწილები ერთმანეთს ლოგიკურად უკავშირდება; აზრები ლოგიკურად არის გამოყოფილი, ლექსიკურად მდიდარია, სტილისტურად გამართულია.	5
დავალების მოთხოვნას პასუხობს; წარმოდგენილია მოცემული საკითხის ანალიზი, ავტორის პოზიცია ნაწილობრივ გამყარებულია მსჯელობით, ადეკვატური მაგალითებით, ნაწერი სტრუქტურულად მეტ-ნაკლებად გამართულია, აზრები, ძირითადად, მწყობრად არის გადმოცემული, მაგრამ ერთი-ორი პასაჟი თხზულების სტრუქტურიდან ამოვარდნილია, ხშირად უფუნქციოდ, დატვირთვის გარეშე მეორდება ერთი და იგივე აზრი, აზრები ლოგიკურად არის გამოყოფილი, ლექსიკა მოთხოვნის შესაბამისია; სტილისტურად გამართულია.	4
დავალების პირობა არ არის სრულყოფილად გააზრებული, წარმოდგენილია მოცემული საკითხის არასრული ანალიზი - ავტორის პოზიცია კარგად არ არის გამოკვეთილი და დასაბუთებული, მაგალითები სუსტია, ნაწერი არ არის გამართული სტრუქტურულად აზრები მწყობრად, თანმიმდევრულად არ არის გადმოცემული, ლექსიკა შედარებით მწირია, სტილისტურად გაუმართავია ზოგიერთი მონაკვეთი.	3
დავალების მოთხოვნას მხოლოდ მცირედ პასუხობს, აზრის გაგება ჭირს, თემა არ არის გაანალიზებული, ლექსიკა ღარიბია, გვხვდება უხეში სტილისტური ხარვეზები.	2
დავალების პირობა არასწორად არის გააზრებული, დაშვებულია უხეში ფაქტობრივი შეცდომები, რაც ხშირ შემთხვევაში ხელს უშლის აზრის გაგებას.	1
ნაწერი დავალებას საერთოდ არ პასუხობს, ან ფურცელი ცარიელია.	0

ქეისი

მეთოდი, რომლის დახმარებითაც შესაძლებელია პრობლემის გადაჭრამდე გადადგმული ნაბიჯების ანალიზი და შეფასება. ამ მეთოდით მუშაობის დროს სტუდენტები აკეთებენ თანმიმდევრულ ჩანაწერებს პრობლემის გადასაჭრელად ჩატარებული სამუშაოს შესახებ. ეს მეთოდი ორიენტირებულია უფრო პროცესზე და არა შედეგზე. ამ მეთოდს პრობლემის გადაჭრის პროცესის შეფასება შეიძლება ვუწოდოთ. იმისთვის, რომ პრობლემის გადაჭრის პროცესი უფრო ნათელი გახდეს, გავიხსენოთ, თუ რა არის პრობლემა და ჩამოვთვალოთ პრობლემის გადაჭრის შესაძლო ეტაპები, რომლებიც, რა თქმა უნდა, საგნისა და პრობლემის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება განსხვავებული იყოს.

პრობლემად ითვლება ისეთი სიტუაცია, რთული საკითხი, ამოცანა, რომელიც საჭიროებს შესწავლას და გადაჭრას. პრობლემის გადაჭრა გულისხმობს გარკვეული პრობლემის ამოსახსნელი პირობების, ხერხების ან დამხმარე საშუალებების მოფიქრებას კრიტიკული და შემოქმედებითი გზით. პრობლემის გადაჭრა წარმოადგენს რთულ სააზროვნო უნარ-ჩვევას, რომელიც ეფუძნება ცოდნასა და ლოგიკურ აზროვნებას. პრობლემების გადასაჭრელად სტუდენტების მიერ გადადგმული ნაბიჯების აღწერას, ანუ პროცესის შეფასების მეთოდს პედაგოგისათვის სამი მიზანი აქვს:

1. შეაფასოს, თუ როგორ გადაჭრიან სტუდენტები პრობლემას;
2. განსაზღვროს, თუ რამდენად კარგად ესმით და აღწერენ სტუდენტები პრობლემის გადაჭრის პროცესს;
3. შეისწავლოს სტუდენტების აზროვნების პროცესი და განიხილოს მათთან ერთად პრობლემის გადაჭრის წარმატებული და წარუმატებელი გზები.

ეს მეთოდი საშუალებას აძლევს პედაგოგს, გაანალიზოს სტუდენტთა ჩანაწერები. ჩანაწერების ანალიზის შედეგად მას შეუძლია დაადგინოს პრობლემის გადაჭრის როგორი უნარ-ჩვევები აქვს თითოეულ სტუდენტს; მისცეს სტუდენტს დროული და მნიშვნელოვანი რჩევები, რომელთა დახმარებითაც ის უკეთ გაიგებს საკუთარი შეცდომების მიზეზს და ისწავლის პრობლემის გადაჭრის პროცესის კონტროლს.

პრობლემის გადაჭრის ეფექტიანი პროცედურების ცოდნა და გამოყენება მნიშვნელოვანია ნებისმიერი საგნის შესწავლისთვის. პედაგოგის მიერ პრობლემა ისე უნდა იქნას დასმული, რომ სტუდენტებს შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების საშუალება მისცეს.

პ რ ე ზ ე ნ ტ ა ც ი ა

პრეზენტაცია ეფექტური მეთოდია როგორც ცოდნა/გაცნობიერების, ისე ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისა და კომუნიკაციის უნარის შესაფასებლად. პრეზენტაციის ჩატარება რამდენიმე საფეხურს მოიცავს:

➤ პრეზენტაციის გეგმის შედგენა:

სტუდენტი ნებისმიერ პრეზენტაციას იწყებს საკუთარი თავის წარდგენით და აცნობს აუდიტორიას პრეზენტაციის გეგმას (სასურველია ის სარჩევის სტილში მომზადდეს, იმის საჩვენებლად, თუ მოხსენების რა ნაწილზე იმყოფება ის მოცემულ მომენტში).

➤ ძირითადი თეზისები:

პრეზენტაციიდან სტუდენტი გამოყოფს იმ თეზისებს, რომლებიც მისი აზრით, უნდა დაამახსოვრდეს მსმენელს. სასურველია სტუდენტმა მთელი პრეზენტაციის განმავლობაში რამდენჯერმე გაიმეოროს მთავარი იდეები იმისათვის, რომ მსმენელმა შეძლოს მნიშვნელოვანი ასპექტების აღქმა.

➤ სლაიდ-შოუ:

სლაიდები გამოიყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ ილუსტრაციისათვის. ხშირად ზოგი მომხსენებელი პრეზენტაციას იწყებს სლაიდების ჩვენებით და ამატებს რამდენიმე სიტყვას მათ განსამარტად. ასეთი მიდგომა განწირულია წარუმატებლობისათვის. სლაიდები ატარებენ დამხმარე ელემენტის ხასიათს, ვიზუალურ ფუნქციას. საინტერესო პრეზენტაცია პირველ რიგში, სტუდენტის

საინტერესო მოხსენება, ჟესტიკულაცია და ინტონაციაა. აუცილებელია მხედველობითი კონტაქტი აუდიტორასთან, ისე რომ ერთი მსმენელიდან სტუდენტი გადაერთოს მეორეზე, ყველას მოუყვეს თითო აზრად ან თანმიმდევრობით შეავლოს თვალი მთელს აუდიტორიას. რაც შეეხება თავად სლაიდებს (ადამიანი ინფორმაციის 80%-ს ღებულობს მხედველობის საშუალებით), ისინი უნდა იყვნენ ლამაზად გაფორმებული, შეიცავდეს სურათებს, დიაგრამებს და სხვა. სასურველია სტუდენტმა გამოიყენოს გრადიენტულ ფონი და საშუალო ზომის შრიფტი. სლაიდის გადატვირთვა ცხრილებითა და მრავალეტაპიანი სიებით - არ არის მიზანშეწონილი.

➤ **პრეზენტაციის დინამიკა და ვერბალური კომუნიკაცია:**

სტუდენტი არ უნდა აჩქარდეს, ისევე როგორც არ უნდა შეანელოს პრეზენტაციის ტემპი. მან უნდა ისაუბროს გასაგებად, თანაბარი ტონით, ყურადღება მიაქციოს ინტონაციას, მსმენელის ყურადღება გადაიტანოს მნიშვნელოვან საკითხებზე. მნიშვნელოვანი ფრაზების ბოლოს სასურველია პაუზის გაკეთება. ზოგადი რეკომენდაცია: 10 სლაიდი 20 წუთის განმავლობაში, შრიფტის ზომა - 30.

პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები მაგალითად:	მაქსიმალური ქულა 5 ან 10 ქულა მაგალითად:
პრეზენტაციის დასაწყისი საინტერესოა და აუდიტორიის ყურადღებას იქცევს, საპრეზენტაციო მასალა ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული, შეიცავს ორიგინალურ დაკვირვებასა და შეფასებებს; ტერმინოლოგია გამართულია; პრეზენტატორი ახერხებს აუდიტორიის ყურადღების შენარჩუნებას მთელი პრეზენტაციის განმავლობაში და ადექვატურ რეაგირებას აუდიტორიის შეკითხვებსა და კომენტარებზე, ეფექტურად იყენებს ვიზუალიზაციის ხერხების ფართო სპექტრს (სლაიდმოუ, ჰენდაუთი, პლაკატი, დაფა და ა.შ.) იცავს რეგლამენტს.	5 ან 9-10
პრეზენტაციის დასაწყისი საინტერესოა და უმეტესწილად იქცევს აუდიტორიის ყურადღებას, საპრეზენტაციო მასალა ამომწურავად არის გადმოცემული; სტუდენტი იყენებს შესაბამის მეცნიერულ ტერმინოლოგიას; კონტაქტს ამყარებს აუდიტორიასთან და ადექვატურად პასუხობს კითხვებს, პრეზენტაციას ახლავს ეფექტური ვიზუალური მასალა, იცავს რეგლამენტს.	4 ან 7-8
პრეზენტაციის დასაწყისი გარკვეულწილად საინტერესოა, საპრეზენტაციო მასალა არასრულად არის გადმოცემული; სტუდენტი იშვიათად იყენებს შესაბამის ტერმინოლოგიას; ცდილობს აუდიტორიის ყურადღების მიპყრობას და მეტ-ნაკლებად ახერხებს კითხვებზე პასუხის გაცემას; არაეფექტურად იყენებს ვიზუალიზაციის ხერხებს, არღვევს რეგლამენტს.	3 ან 5-6
პრეზენტაციის დასაწყისი არ არის საინტერესო. საპრეზენტაციო მასალა გადმოცემულია ნაწილობრივ; ტერმინოლოგია არასწორია; სტუდენტი უმედეგოდ პერიოდულად ცდილობს აუდიტორიის ყურადღების მიპყრობას და ვერ ახერხებს კითხვებზე ადექვატური პასუხის გაცემას, ძალზე იშვიათად იყენებს ვიზუალიზაციის ხერხებს, ვერ იცავს რეგლამენტს.	2 ან 3-4
პრეზენტაცია არ შეესაბამება საკითხს, პრეზენტატორი ვერ ამყარებს კონტაქტს აუდიტორიასთან, არ იყენებს ვიზუალიზაციის საშუალებებს.	1 ან 1-2
არ შეასრულა საპრეზენტაციო დავალება	0

რ ე ფ ე რ ა ტ ი (წერიითი ნაშრომი)

რეფერატი (ლათ.refero ვაუწყებ, მოვახსენებ) რამდენიმე განმარტება აქვს:
 1. მეცნიერული ნაშრომის მოკლე წერილობითი ან ზეპირი გადმოცემა;

2. მოხსენება, რომელშიც მოცემულია რაიმე საკითხის შესახებ არსებული ლიტერატურისა და სხვა წყაროების მიმოხილვა;

3. წერიტი ხასიათის სამეცნიერო-კვლევითი პროექტი, რომლითაც უნდა გამოვლინდეს აპლიკანტის კვლევის ინტერესის სფერო, მისი აკადემიური დონე დარგობრივი სფეროს ფარგლებში და მეცნიერული კვლევის უნარი.

შესაბამისად, რეფერატის, როგორც შეფასების მეთოდის გამოყენება მიზანშეწონილია, როგორც ბაკალავრიატში, ისე მაგისტრატურაში.

პედაგოგიკაში რეფერატი ხშირად გამოიყენება, როგორც კონკრეტული დისციპლინის ცოდნის სტრუქტურისა და ანგარიშების მეთოდი. რეფერატების, როგორც შეფასების მეთოდის გამოყენებას თან ახლავს პლაგიატის პრობლემა, რომლის აღმოჩენაც ინტერნეტის წყალობით დიდ სირთულეს არ წარმოადგენს. ლექტორმა არ უნდა დაუშვას პლაგიატის შეფასება. არსებობს რიგი პროგრამისა, რომელიც ხელს უწყობს პლაგიატის გამოვლენას (მაგ. ამერიკული „Turnitin“, რუსული - «Антиплагиат»).

განასხვავებენ რეფერატის ორ ტიპს:

1. პროდუქტიული რეფერატი ანუ რეფერირების წყაროს შემოქმედებითი და/ან კრიტიკული გააზრება). ამ ტიპის რეფერატი მზადდება რეფერატი-მოხსენების და/ ან რეფერატი - მიმოხილვის ფორმით.

2. რეპროდუქტიული რეფერატი ანუ რეფერირების წყაროს პირველადი ტექსტის შინაარსობრივი წარმოდგენა. მზადდება რეფერატი-კონსპექტისა და/ან რეფერატი - რეზიუმეს ფორმით.

რეფერატის შეფასების კრიტერიუმები მაგალითად:	ქულა 0-10 მაგალითად:
1. საკითხის შესაბამისი, სანდო და ხარისხიანი წყაროების დამოუკიდებლად მოძიება	0-2
2. მოძიებული წყაროებიდან საკითხის შესახებ არსებული მასალის მიმოხილვა	0-2
3. არსებითი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის გამოჯვანის უნარის დემონსტრირება	0-2
4. მასალის კრიტიკული ანალიზის უნარის დემონსტრირება	0-2
5. რეფერატის გაფორმების სტანდარტების დაცვა (სასურველია APA სტილი)	0-2
შენიშვნა: პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში ნაშრომი უნდა შეფასდეს 0 ქულით.	

ქვიზი

ქვიზი არის სწრაფი შეფასების მეთოდი, რომლის მეშვეობით დგინდება/იზომება სტუდენტის ცოდნა, შესაძლებლობები, უნარები. ქვიზი, ტესტთან შედარებით, კითხვების მცირე რაოდენობას შეიცავს, ზოგ შემთხვევაში იოლსაც. შესაბამისად მას სჭირდება ნაკლები დრო, რასაც განსაზღვრავს ლექტორი. ქვიზი შედგება ტესტების, თეორიული საკითხების, ალტერნატიული არჩევანის (სწორია/არასწორია), მოკლე პასუხის ტიპის შეკითხვების, სავარჯიშოების, ამოცანების, სიტუაციური ანალიზის და პრობლემების ანალიზისაგან. თითოეული დავალების შესაბამისი ქულა ლექტორის მიერ მითითებული იქნება ქვიზში.

ქვიზის შეფასების კრიტერიუმები მაგალითად:	ქულა 0-10 მაგალითად:
1. საკითხის/საკითხების საფუძვლიანი ცოდნის დემონსტრირება	0-5
2. პასუხების სისწორე, სიზუსტე, ლაკონურობა, მიცემული დროის (15/20 წუთი) რაციონალური მართვა	0-5

დისკუსია

დისკუსია როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს არის საჯარო განხილვა ან ცოდნის, მსჯელობის, იდეების, აზრების, არგუმენტების თავისუფალი ვერბალური გაცვლა რაიმე პრობლემასთან, საკამათო

საკითხთან დაკავშირებით. დისკუსიის დროს ხდება ურთიერთსაწინააღმდეგი აზრებისა და პოზიციების დაპირისპირება. დისკუსიის მეშვეობით ფასდება სტუდენტის ცოდნა, კომუნიკაციის უნარი, პრობლემის გადაწყვეტის უნარი, ლოგიკური და თანმიმდევრული აზროვნების უნარი.

დისკუსიის სახეებია:

დებატები - რომლის მიზანია არა ერთმანეთის, არამედ მესამე მხარის დარწმუნება/გადარწმუნება საკუთარი არგუმენტების სისწორეში.

ჯგუფური დისკუსია - რომლის დროსაც ჯგუფის წევრები ცვლიან აზრებს, იდეებს და წყვეტენ პრობლემას.

(*მიზანშეწონილობის გათვალისწინებით შესაძლოა გამოყენებულ იქნეს დისკუსიის უფრო რთული ფორმები).

დისკუსია/დებატების შეფასების კრიტერიუმები მაგალითად:	ქულა 0-5 მაგალითად:
სისტემატურად მონაწილეობს და ხშირად თავადაც წარმართავს დებატებს; მკაფიოდ და გასაგებად აყალიბებს აზრს, მსჯელობს არგუმენტირებულად, აკეთებს დასკვნებს, მოსაზრება ორიგინალურია და გამყარებულია ფაქტებით, ცნებებით, არის ლოგიკური კავშირი საკითხთან, გამართულად მეტყველებს, აქვს მდიდარი ლექსიკა, შემოქმედებითად იყენებს ენობრივ-გამომსახველობით საშუალებებს და არავერბალური კომუნიკაციის ფორმებს (თვალით, ყესტებით, ხმით), ისმენს და კონსტრუქციულად პასუხობს განსხვავებულ აზრს, კორექტულია ოპონენტის მიმართ, აცლის სხვებს აზრის გამოთქმას, იცავს დისკუსიის წესებს და დროის ლიმიტს.	5
ყოველთვის მონაწილეობს დისკუსია/დებატებში, გასაგებად აყალიბებს აზრს, მსჯელობს არგუმენტირებულად, აკეთებს დასკვნებს, გამართულად მეტყველებს და იყენებს მართებულ სინტაქსურ და გრამატიკულ კონსტრუქციებს, შეუძლია ხშირად დაამყაროს არავერბალური კონტაქტი, უსმენს სხვებს და ზოგჯერ ერთვება სხვის საუბარში, კორექტულია და ამყდავენებს სხვისი აზრის მიმართ პატივისცემას, ძირითადად იცავს დისკუსიის წესებს და დროის ლიმიტს.	4
ხშირად მონაწილეობს დისკუსია/დებატებში, ახერხებს საკუთარი აზრის მეტ-ნაკლებად დასაბუთებას, ფაქტებისა და ლოგიკური მსჯელობის გარეშე, იცავს მართლმეტყველების ელემენტარულ წესებს, მეტ-ნაკლებად გამართულად საუბრობს, იშვიათად იყენებს არავერბალურ კომუნიკაციის ფორმებს, იშვიათად უსმენს სხვებს და ხშირად ერთვება სხვის საუბარში, ყოველთვის არ იცავს დისკუსიის წესებს და დროის ლიმიტს.	3
ზოგჯერ მონაწილეობს დისკუსია/დებატებში, ხშირად ვერ დასაბუთებს საკუთარ აზრს, არ იცავს მართლმეტყველების ელემენტარულ წესებს, არ იყენებს არავერბალურ კომუნიკაციის ფორმებს, არ იცავს დისკუსიის წესებს, არ უსმენს სხვებს და არ აძლევს მათ საუბრის საშუალებას.	2
იშვიათად მონაწილეობს დისკუსიაში, უჭირს გამართულად საუბარი.	1
საერთოდ არ მონაწილეობს დისკუსიაში.	0

ზეპირი გამოკითხვა

ზეპირი გამოკითხვის დროს სტუდენტი ყვება ლექტორის მიერ წინასწარ ან სააუდიტორიო მეცადინეობის დროს მიცემულ საკითხს / მის ნაწილს. ეს მეთოდი განსაკუთრებით აქტიურად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ისეთ სპეციალობებზე, სადაც მსჯელობის, არგუმენტირების, ინტერპრეტირების, მეტყველების კულტურის ხარისხს დიდი მნიშვნელობა აქვს მომავალი პროფესიული საქმიანობისათვის.

ზეპირი გამოკითხვის შეფასების კრიტერიუმები	ქულა 0-10
---	-----------

მაგალითად:	მაგალითად:
სტუდენტი ამჟღავნებს საგამოცდო საკითხის სისტემურ და ღრმა ცოდნას. საფუძვლიანად აქვს ათვისებული, როგორც ძირითადი ისე დამხმარე ლიტერატურა, ზუსტად იყენებს მეცნიერულ ტერმინოლოგიას, ხედავს მოვლენათა შორის შინაგან კავშირებს, არსებით მახასიათებლს გამოყოფს მეორეხარისხოვნისაგან; შეუძლია ფაქტების კრიტიკული ანალიზი და ლოგიკური მსჯელობა, არგუმენტირებული, ახალი დასკვნების ჩამოყალიბება.	10
სტუდენტი ამჟღავნებს საგამოცდო საკითხის სისტემურ ცოდნას, საფუძვლიანად აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა და ნაწილობრივ ფლობს დამატებით ლიტერატურას; ზუსტად იყენებს მეცნიერულ ტერმინოლოგიას, შეუძლია მოვლენათა ურთიერთკავშირის დანახვა და ლოგიკური მსჯელობა. დასკვნებს აყალიბებს უმნიშვნელო ხარვეზებით.	9
დამუშავებული აქვს მხოლოდ ძირითადი ლიტერატურა. ზუსტად იყენებს მეცნიერულ ტერმინოლოგიას, შეუძლია ფაქტებისა და მოვლენების ურთიერთკავშირის ლოგიკური ანალიზი. უძნელდება ზოგიერთი დასკვნის ჩამოყალიბება.	8
სტუდენტი საკითხის ცოდნას ამჟღავნებს არა სრულყოფილად, მაგრამ მნიშვნელოვან და არსებით ხასიათის შეცდომებს არ უშვებს. ფლობს საგნისათვის დამახასიათებელ კატეგორიულ ცნებით აპარატს, იცის კარგად ტერმინოლოგია. უძნელდება მოვლენათა ურთიერთკავშირის დანახვა და ლოგიკური მსჯელობა.	7
ვერ ერკვევა კარგად ტერმინოლოგიასა და ძირითად ცნებებში. სტუდენტი ამჟღავნებს საკითხის ცოდნას იმ მოცულობით, რაც საკმარისია შემდგომში სწავლისა და მომავალი პროფესიული მუშაობისათვის.	6
სტუდენტმა თავი გაართვა გათვალისწინებული დავალების მოცულობის არანაკლებ ნახევარს.	5
საკითხის შესაბამისი მასალა გადმოცემულია მხოლოდ ნაწილობრივ. აღინიშნება არსებითი ხასიათის შეცდომები.	4
სტუდენტს საკითხზე აქვს ზოგადი წარმოდგენა, მაგრამ ვერ ახდენს ფრაგმენტების ერთმანეთთან დაკავშირებას.	3
პასუხი არსებითად მცდარია. ტერმინოლოგია არ არის გამოყენებული.	2
სტუდენტის პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის.	1
პასუხი არ არის.	0

როლური თამაში

როლური თამაშებისას, სტუდენტებისთვის წარმოდგენილია სიტუაციები, ხშირად პრობლემა ან ინციდენტი, რომელზეც რეაგირება უნდა მოახდინონ კონკრეტული როლის მორგებით, განსხვავებით სიტუაციის ანალიზისაგან, რომლის დროსაც სტუდენტი პასიური დამკვირვებელია. შესაძლოა წინასწარი რეპეტიცია არ იყოს გავლილი ან ინდივიდს უბრალოდ მოკლედ გააცნონ სათამაშო როლი. ასეთი შეფასებები უფრო ღია და ადამიანზე ორიენტირებულია, ვიდრე სიმულაციები. როლური თამაშის შედეგის შესაფასებლად საჭიროა შეიქმნას კრიტერიუმების ნუსხა, რომლითაც გაიზომება შესრულებული სამუშაოს ხარისხი და სტუდენტის კომპეტენცია.

როლური თამაშები შესაძლოა გამოყენებულ იქნას ქცევითი და ინტერპერსონალური უნარების ფართო სპექტრის შესაფასებლად. სტუდენტებს ეძლევათ საშუალება სცადონ სხვადასხვა ქცევის მორგება, იმპროვიზაცია და ახალი უნარების განვითარება.

უპირატესობები - იძლევა ინდივიდუალური ინიციატივის შეფასების საშუალებას;

✓ აფასებს სტუდენტს რეალურ გარემოში, მაგრამ რეალური სიტუაციებისთვის დამახასიათებელი სტრესის გარეშე;

✓ როლური თამაშების შემდეგ მიღებული უკუკავშირი იწვევს შესრულებაზე დაფიქრებას და უზრუნველყოფს სასარგებლო სტიმულს შემდგომი სწავლისთვის;

✓ დასაშვებია შესრულების ჩაწერა და ხელახალი განხილვა.

შეზღუდვები - რთულია პროცესის მართვა ბევრ სტუდენტთან მუშაობისას;

✓ პროცესის წარმატებით ჩატარებისთვის აუცილებელია გამოცდილი მასწავლებლების მუშაობა;

✓ სტუდენტის მიერ როლის შესრულებაზე შესაძლოა, ზეგავლენა მოახდინოს იმის ცოდნამ, რომ მას აფასებენ;

- ✓ დასაშვებია, რომ რთული აღმოჩნდეს შეფასების სანდოობის მიღწევა.

მნიშვნელოვანი რეკომენდაციები:

- ✓ საჭიროა, ნათლად იქნას ახსნილი როლური თამაშის დანიშნულება;
- ✓ მოკლე აღწერილობა ნათლად უნდა იყოს განსაზღვრული სტუდენტისთვის;
- ✓ სიტუაცია უნდა იყოს რეალური და დამაჯერებელი;
- ✓ საჭიროა ჩამონათვალის შემუშავება, სადაც განისაზღვრება სილაბუსის სტანდარტით აღწერილი მოსალოდნელი შედეგები; ეს უზრუნველყოფს იმის გარანტიას, რომ შეფასება ვალიდური და სანდოა, ხოლო დავალების მოთხოვნები – დაკმაყოფილებული;
- ✓ საჭიროა დროის გამოყოფა უკუკავშირისთვის და შესრულების გააზრებისთვის;
- ✓ შემაჯამებელი შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს სტუდენტის ორივე მოსაზრება თავად შესრულებასთან და იმ საკითხებთან დაკავშირებით, რაც როლური თამაშის შედეგად წარმოიქმნა.

სიმულაცია

სიმულაცია არის პრაქტიკული სავარჯიშო სამედიცინო სფეროში უნარების განვითარებისათვის. ის მაქსიმალურად ჰგავს რეალურ სამუშაო ადგილზე განსახორციელებელ სამუშაოს. სიმულაციას გააჩნია შესაბამისი მიზანი. მისი მიზანია პაციენტის გასინჯვის პროცესის იმიტირება და გასინჯვის პროცესის ორგანიზება. სიმულაციაში სტუდენტი აქტიურადაა ჩართული. სტუდენტის შედეგი სიმულაციაში მის აქტიურ მონაწილეობაზეა დამოკიდებული. იმისთვის რომ სიმულაციის სავარჯიშო შედეგანი იყოს, სიმულაციის გარემო პირობები და შესასრულებელი სამუშაო მაქსიმალურად უნდა ჰგავდეს რეალურ სიტუაციას. სიმულაცია განსხვავდება როლური თამაშისგან, რადგან იგი ერთ კონკრეტულ მოქმედებასთანაა დაკავშირებული. სიმულაციის მიზანია შეამოწმოს ქცევითი, ანალიტიკური და გადაწყვეტილების მიღების უნარ-ჩვევები რეალურ გარემოში. სიმულაციის შედეგის შესაფასებლად საჭიროა შეიქმნას კრიტერიუმების ნუსხა, რომლითაც გაიზომება შესრულებული სამუშაოს ხარისხი და სტუდენტის კომპეტენცია.

უპირატესობები: ინდივიდუალური ინიციატივების გამოვლენა;

- ✓ სტუდენტები ნათლად აცნობიერებენ რა უნარები სჭირდებათ შემდგომი მუშაობისათვის;
- ✓ სტუდენტის მიერ კლინიკური უნარ-ჩვევების ფლობის შეფასების უსაფრთხო (ჰიგიენური თვალსაზრისით) გარემოში წარმართვა;
- ✓ შესასრულებელი დავალების სინამდვილესთან მაქსიმალური მსგავსება – რაც ზრდის სტუდენტის მოტივაციას;
- ✓ ზოგიერთი სიმულაციის ონლაინ რეჟიმში განხორციელების შესაძლებლობა.

შეზღუდვები ხშირად ძნელი და ძვირია სიმულაციის მაქსიმალური დაახლოება სინამდვილესთან;

- ✓ სიმულაციას სჭირდება გამოცდილი პრაქტიკის დამკვირვებელი;
- ✓ რთულია დიდ ჯგუფებში სიმულაციის განხორციელება;

მნიშვნელოვანი რეკომენდაციები:

- ✓ სიმულაცია უნდა იყოს ნამდვილი, რეალური სიტუაციის მსგავსი;
- ✓ სიმულაციის შინაარსი მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული;
- ✓ სიმულაციისთვის აუცილებელია ყველა ის რესურსი და აღჭურვილობა, რომელიც რეალურ ცხოვრებაში, მსგავს სიტუაციაში შეიძლება დასჭირდეს სპეციალისტს;
- ✓ სიმულაციაში მოცემული დავალებების შესასრულებლად სტუდენტებს იმდენი დრო უნდა ჰქონდეთ, რამდენიც მსგავსი დავალებების შესასრულებლად რეალურ ცხოვრებაში დასჭირდებათ;
- ✓ შეფასების ვალიდურობის, სანდოობისა და მოთხოვნების შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, სიმულაციას თან უნდა ახლდეს შეფასების სქემა. შეფასების სქემა უნდა აფიქსირებდეს მიაღწია თუ არა სტუდენტმა სიმულაციის წინასწარ განსაზღვრულ შედეგებს. შეფასების სქემა ასევე უნდა

ასახავდეს სტუდენტის შედეგების ხარისხის შესაბამისობას სიმულაციის შედეგის მოთხოვნებთან/სტანდარტთან.

ფორმულარი

სწორად შედგენილი ფორმულარი სტუდენტის მიღწევებისა და სწავლის პროგრესის შესაფასებლად მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. ფორმულარს უნდა ჰქონდეს საჭირო მონაცემების ჩაწერისა და აღრიცხვის სტუდენტისთვის მკაფიოდ გასაგები ინსტრუქციები. სამუშაო ადგილზე ფორმულარის საშუალებით სტუდენტი შეიძლება აკვირდებოდეს და აღწერდეს კლინიკაში მუშაობის/სხვადასხვა აქტივობების პროცესს. განსაკუთრებით კლინიკური პრაქტიკის პირობებში. შემფასებელი დაწვრილებით შეისწავლის ფორმულარის ჩანაწერებს.

ფორმულარები გამოიყენება სტუდენტის მიერ რიგი აქტივობებისა და ამოცანების შესრულების შესაძლებლობების შესახებ დამატებითი მტკიცებულებების უზრუნველსაყოფად. მათ ინახავენ სტუდენტები და აღრიცხავენ, რამდენჯერ მოხდა ამა თუ იმ საქმიანობისა თუ დავალების განხორციელება მთელი რიგი პარამეტრების შესაბამისად.

უპირატესობები: არის მნიშვნელოვანი წყარო აკადემიური და ქცევითი უნარების შესაფასებლად;

- ✓ ავითარებს სამედიცინო ჩანაწერების სისტემატური წარმოების უნარ-ჩვევას;
- ✓ ამლიერებს მოტივაციას;
- ✓ ფორმულარს შეიძლება ჰქონდეს დღიურის ან ელექტრონული ბლოგის სახე;
- ✓ ფორმულარების რეგულარული შემოწმება სწავლება-სწავლის მართვის საშუალებას იძლევა;
- ✓ გვაწვდის მნიშვნელოვან ინფორმაციას სასწავლო კურსის შესაფასებლად.

შეზღუდვები: საჭიროებს მოტივირებული სტუდენტების თანამშრომლობას;

- ✓ ფორმულარის ჩანაწერების შეგროვება შრომატევადი პროცესია და დიდი დრო სჭირდება;
- ✓ შემფასებლებს ჩანაწერების შესამოწმებლად დიდი დრო სჭირდებათ;
- ✓ შესაძლოა რთული აღმოჩნდეს იმის დადასტურება რომ ფორმულარი უტყუარი ჩანაწერია;
- ✓ ქცევითი უნარების შეფასება ფორმულარის ინსტრუმენტით შესაძლოა არასანდო აღმოჩნდეს;

პორტფოლიო

კლასიკური განმარტებით პორტფოლიო წარმოადგენს შემსრულებლის ნამუშევართა ერთობლიობას. საგანმანათლებლო პრაქტიკაში პორტფოლიო არის სტუდენტის ნამუშევრების (შრომები, პროექტები და ა. შ.) თემატური ნაკრები, რომელიც ასახავს მის განვითარებას დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში. პორტფოლიოში წარმოდგენილი სტუდენტის აქტივობების შედეგების ამსახველი დოკუმენტაცია საგანმანათლებლო პროგრამასა და შესაბამისი პროფესიის სპეციფიკას ასახავს. პორტფოლიოში შეიძლება მოთავსდეს ნაშრომები, პრეზენტაციები, სერთიფიკატები და სხვ. ორიგინალის ან ქსეროასლის სახით, ასევე ელექტრონულ ფორმატში. პორტფოლიო შეიძლება მოიცავდეს ინფორმაციას ყველა იმ პროექტის შესახებ, რომელშიც სტუდენტს მონაწილეობა მიუღია დამოუკიდებლად ან ჯგუფის შემადგენლობაში, მათ შორის საწარმოო პრაქტიკის დროს და ა. შ. პორტფოლიოს შედეგის შესაფასებლად საჭიროა შეიქმნას კრიტერიუმების ნუსხა, რომლითაც გაიზომება შესრულებული სამუშაოს ხარისხი და სტუდენტის კომპეტენცია.

პორტფოლიოს, როგორც შეფასების ერთ-ერთი ფორმის, გამოყენება მიზანშეწონილია მაშინ, როდესაც სტუდენტი უკვე გარკვეულად დახელოვნდება პრაქტიკული სამუშაოების შესრულებაში, შეიძენს კვლევის მინიმალურ ჩვევებს და დამოუკიდებლად ასრულებს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სხვა დავალებებს. პორტფოლიოს მეშვეობით ფასდება სტუდენტის ცოდნა და უნარები, შეძენილი არა ერთი რომელიმე კონკრეტული სასწავლო კურსის, არამედ მთელი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. შესაბამისად პორტფოლიოს გამოიყენება პროგრამის დასრულებისას უფრო ეფექტურია. თუ საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა უნარ-ჩვევების

გამომუშავებას ეტაპობრივად ითვალისწინებს, მაშინ შესაძლებელია პორტფოლიოს გამოყენება ყოველი ეტაპის დასრულებისას – ამ შემთხვევაში ნამუშევრების შედარება საშუალებას მოგვცემს შევფასოთ სტუდენტის დახელოვნების/ დაოსტატების პროგრესი პროგრამის განმავლობაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პორტფოლიოში მოთავსებული დოკუმენტების შეფასების კრიტერიუმები ძალიან მკაფიოდ უნდა განისაზღვროს სუბიექტურობის თავიდან აცილების მიზნით. ნებისმიერ შემთხვევაში პორტფოლიო არ წარმოადგენს შეფასების ერთადერთ საბოლოო ფორმას – როგორც წესი, პორტფოლიო გამოიყენება შეფასების სხვა ფორმებთან ერთად.

უპირატესობები: პორტფოლიოში წარმოდგენილი დოკუმენტები უშუალოდ ასახავს სტუდენტის კომპეტენციას;

✓ პორტფოლიო შეფასების ჰოლისტური მეთოდია – ანუ ფასდება მთელი სწავლის შედეგი, სტუდენტის ცოდნა და უნარები;

✓ პორტფოლიო გვიჩვენებს სტუდენტის წინსვლას/პროგრესს სწავლის პროცესში, თუ მას პროგრამის მთელი ხანგრძლივობის მანძილზე ვიყენებთ;

✓ პორტფოლიოს შედგენა უკვე თავისთავად სწავლა და გამოცდილებაა ამ დროს სტუდენტმა უნდა გაიაზროს ნასწავლი მასალა, შეარჩიოს მისთვის საინტერესო მედიცინის მიმართულება და იზრუნოს ამ მხრივ საკუთარი თავის განვითარებაზე.

✓ პორტფოლიო ხელს უწყობს სტუდენტებში თვით-რეფლექსიის განვითარებას, რამდენადაც სტუდენტი თავად არჩევს შესაბამის საინტერესო თემებს, აკეთებს პრეზენტაციებს სხვადასხვა აუდიტორიის წინაშე, ახდენს თვითშეფასებასაც და თვალნათლივ ხედავს თავის ნაკლს ან დადებით მხარეებს.

✓ პორტფოლიო ეხმარება სტუდენტს მომავალ დასაქმებაში – პორტფოლიოში მოცემული მასალა შეიძლება გახდეს სტუდენტის / კურსდამთავრებულის სავიზიტო ბარათი, მისი კომპეტენციის ილუსტრაცია, გარკვეულწილად მისი რეკლამაც, რითაც პოტენციურ დამსაქმებელს გაუადვილებს შეფასება;

✓ პორტფოლიო კარგი ინსტრუმენტია სასწავლო პროგრამის / პროცესის შესაძლო ნაკლოვანებების დასადგენად – თუ სტუდენტების მიერ შესრულებულ სამუშაოში მსგავსი ტიპის ხარვეზები იქნება აღმოჩენილი, ეს ნათლად მიუთითებს პროგრამის ან სწავლების მეთოდის არასრულყოფილებაზე;

რეკომენდაცია: შეფასების კრიტერიუმები უნდა დადგინდეს საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული ყველა პედაგოგის მიერ, რამდენადაც პორტფოლიო მთელი პროგრამის განმავლობაში შექმნილი კომპეტენციის შესაფასებლად გამოიყენება – შესაბამისად ის ხელს უწყობს პედაგოგიური პერსონალის ერთობლივ, გუნდურ მუშაობას.

სასემინარო მოხსენება

სასემინარო მოხსენება - შეფასების მეთოდია, რომლის დროსაც სტუდენტები წარადგენენ მოხსენებებს, რეფერატებს, რომლებიც მათ დამოუკიდებლად დაამუშავეს სწავლის ან კვლევის შედეგების საფუძველზე. სასემინარო მოხსენებებით სტუდენტთა შეფასება სასურველია ძირითადად მაგისტრატურაში.

სასემინარო მოხსენების შეფასების კრიტერიუმები მაგალითად:	0-10 ქულა მაგალითად:
საკითხის შესაბამისი, სანდო და ხარისხიანი წყაროების დამოუკიდებლად მოძიება	0-3
საკითხის დამუშავების სიღრმე	0-2

პრობლემის/პრობლემების გამოკვეთა და მათი გადაჭრის გზების წარმოჩენა	0-2
ანალიზისა და დასკვნის უნარის დემონსტრირება	0-3

სასწავლო / პროფესიული / პედაგოგიური / საველე პრაქტიკა

სასწავლო/პროფესიული/პედაგოგიური პრაქტიკა ემსახურება სწავლის პროცესში, სწავლების მიზნებიდან გამომდინარე, ცოდნის გაღრმავებასა და გამყარებას; ავითარებს თეორიული ცოდნისა და გამომუშავებული უნარების პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობას. სახელმწიფო ორგანიზაციებში, სკოლებში, კერძო საწარმოებსა და სხვა ტიპის დაწესებულებებში მუშაობა ხელს უწყობს სტუდენტებში მეცნიერების სფეროში ორგანიზატორული, სამეცნიერო, პედაგოგიური, შემოქმედებითი მუშაობის უნარების ჩამოყალიბებას. ეხმარება მათ პრაქტიკული და კოგნიტური უნარ-ჩვევების განვითარების პროცესის რაციონალურად დაგეგმვაში. პრაქტიკის მიზანია სტუდენტებისა და ბიზნესის სფეროს წარმომადგენელთა დაკავშირება – პრაქტიკანტთა შემდგომში შრომითი მოწყობის ხელშეწყობის მიზნით (სასწავლო/პროფესიული/პედაგოგიური პრაქტიკის ჩატარების წესი განსაზღვრულია უნივერსიტეტის მარეგულირებელ დოკუმენტებში).

საველე პრაქტიკის მიზანია თეორიული კურსის გავლისას მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გადატანა. მაგალითად, სტუდენტისათვის ადგილობრივი ფლორისა და ფაუნის, ასევე სხვადასხვა გეოგრაფიული ობიექტების გაცნობა საველე პირობებში, მცენარულ და უხერხემლო ცხოველთა შეგროვებული ნიმუშების ამოცნობის, შეგროვების, დამუშავების, სადემონსტრაციოდ მომზადების მეთოდის სწავლება; მცენარულ და ცხოველურ მასალებთან მუშაობის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება და სხვა.

პრაქტიკის შეფასება

სასწავლო/პროფესიული/საველე პრაქტიკის შეფასება წარმოებს ორ ეტაპად: შუალედური და დასკვნითი შეფასების სახით. პრაქტიკის შუალედური შეფასებისას, სტუდენტმა უნდა დააგროვოს მაქსიმუმ 60 ქულა და ითვალისწინებს 2 ეტაპს და კომპონენტს:

1) აქტიურობას პრაქტიკული სამუშაოების შესრულებისას და შესრულებული სამუშაოს დემონსტრირებას - მაქსიმუმ 30 ქულა, რომელსაც აფასებს საწარმოდან დანიშნული პრაქტიკის ხელმძღვანელი:

- ✓ კომუნიკაცია - 5 ქულა
- ✓ გუნდური მუშაობის უნარი - 5 ქულა
- ✓ შესრულებული სამუშაოს ხარისხი - 5 ქულა
- ✓ ორგანიზებულობა, თანმიმდევრულობა და პუნქტუალობა - 5 ქულა
- ✓ ინიციატივა და პასუხისმგებლობა - 5 ქულა
- ✓ მუშაობის სისწორე - 5 ქულა

2) პრაქტიკის დღიურის წარმოებას - მაქსიმუმ 30 ქულა

30-21 ქულა – სტუდენტი სისტემატიურად აწარმოებს პრაქტიკის დღიურს, ინიშნავს მონაცემებს, აღწერს ყოველკვირეულ/ყოველდღიურ შესრულებულ სამუშაოს, გადმოცემულია ის სიახლეები, რომელსაც სტუდენტი გაეცნო პრაქტიკის განხორციელების პროცესში, შესაბამისი მაგალითების მოშველიებით სტუდენტი აფიქსირებს მიღწეულ შედეგებს.

20-11 ქულა – სტუდენტი დამაკმაყოფილებლად აწარმოებს პრაქტიკის დღიურს, ინიშნავს მონაცემებს, არასრულად აღწერს ყოველკვირეულ/ყოველდღიურ შესრულებულ სამუშაოს, შესაბამისი მაგალითების მოშველიებით სტუდენტი აფიქსირებს მიღწეულ შედეგებს.

10-1 ქულა – სტუდენტი არასრულად აწარმოებს პრაქტიკის დღიურს, მოცემული სწავლის შედეგები არასრულია.

0 ქულა – სტუდენტმა საერთოდ ვერ ან არ აწარმოა პრაქტიკის დღიური და არ აქვს გაწერილი პრაქტიკული აქტივობები და სწავლის შედეგები.

პრაქტიკის დასკვნითი შეფასება (მაქსიმუმ 40 ქულა), ახდენს პრაქტიკის პერიოდში შეძენილი კომპეტენციების დემონსტრირებას და ითვალისწინებს პრაქტიკის ანგარიშის (იხ. დანართი 3) საჯარო დაცვას და შედეგა შემდეგი კომპონენტებისაგან:

პრაქტიკის დასკვნითი შეფასება	მაგალითად, მაქსიმუმ 40 ქულა მაგალითად
პრაქტიკის ანგარიშის საჯარო დაცვა	
ა) გაფორმება და რეზიუმე, რომელიც ასახავს პრაქტიკის მიზნებსა და შედეგებს	5 ქულა
ბ) პრაქტიკის ობიექტის აღწერა, რომელიც ქმნის მკაფიო წარმოდგენას პრაქტიკის ობიექტზე	5 ქულა
გ) პრაქტიკის პროცესში განხორციელებული საქმიანობის ანალიზი (რამდენად შეესაბამება პრაქტიკული საქმიანობა სასწავლო/საწარმოო პროფესიული პრაქტიკის მიზნებს, რამდენად განავითარებს პროფესიულ კომპეტენციებს)	10 ქულა
დ) დასკვნები და რეკომენდაციები	5 ქულა
ე) საჯარო პრეზენტაცია	15 ქულა

საჯარო პრეზენტაციის 15 ქულა შედეგა შემდეგი კომპონენტებისაგან:	
ა) შესაბამისობა პრეზენტაციის მიზნებთან	მაქსიმუმ 5 ქულა მაგალითად
პრეზენტაციას გააჩნია მიზანი და გადმოსცემს მნიშვნელოვან და საინტერესო ინფორმაციას პრეზენტაციის თემაზე	5 ქულა
მიზნები დასახულია, პრაქტიკის ანგარიშში ნაწილობრივ შესაბამება დასახულ მიზნებს	4-3 ქულა
პრეზენტაციაში მიზანი ისახება, შინაარსი ცუდად არის გადმოცემული და მიზანი ბუნდოვანია	2-1 ქულა
პრეზენტაციის შინაარსი არ შეესაბამება პრეზენტაციის მიზნებს	0 ქულა
ბ) პრეზენტაციის შინაარსობრივი მხარე, წყაროების გამოყენება	მაქსიმუმ 5 ქულა მაგალითად
პრეზენტაციას გააჩნია სრული მონაცემები, აღინიშნება სხვადასხვა წყაროების დიდი რაოდენობით გამოყენება	5 ქულა
შინაარსი სრულად არის გაშუქებული, გამონაკლისის სახით დაშვებულია შეცდომები, მწირია წყაროების გამოყენება	4-3 ქულა
შეზღუდულია მონაცემები, დასკვნები არ არის გაკეთებული, 1-2 წყაროა გამოყენებული	2-1 ქულა
საერთოდ არ არის არც ერთი წყარო გამოყენებული, შინაარსი არ არის სწორად გადმოცემული, გაუგებარია	0 ქულა

გ) პრეზენტაციის დიზაინი (გაფორმება)	მაქსიმუმ 3 ქულა მაგალითად
გაფორმების ყველა პუნქტი დაცულია, პრეზენტაციის ფონი კარგად აღიქმება, სლაიდები პრეზენტაციის თემის შესაბამისია, სლაიდების გაფორმებაში გამოყენებულია სხვადასხვა სახის საშუალებები: ანიმაციები, სურათები და სხვ. ობიექტები	3 ქულა
ტიტული ნაწილობრივ გაფორმებულია, ყველა სურათი არ არის პრეზენტაციის თემის შესაბამისი	2-1 ქულა
ტიტული არ არის გაფორმებული, არც ერთი პუნქტი არ არის სწორად მითითებული, სლაიდები და გაფორმების სხვა საშუალებები არ არის გამოყენებული	0 ქულა
დ) პრეზენტაციის ტექნოლოგია/ კონტაქტი აუდიტორიასთან	მაქსიმუმ 2 ქულა მაგალითად
კონტაქტი აუდიტორიასთან დამყარებულია და ეფექტურია, მეტყველება სწორი, კარგი და საინტერესოა, აუდიტორიის რეაქცია ადეკვატურია	2 ქულა
კონტაქტი აუდიტორიასთან სუსტია, ხანდახან უინტერესო, პრობლემების წამოჭრა არ ხდება, აუდიტორია განიცდის სირთულეს პრეზენტატორისა და პრეზენტაციის აღქმის პროცესში	1 ქულა
კონტაქტი პრეზენტატორსა და აუდიტორიას შორის დაკარგულია, აუდიტორია ვერ აღიქვამს პრეზენტაციას	0 ქულა

პედაგოგიური პრაქტიკის შეფასების ნიმუში იხილეთ დანართ №11-ში

შენიშვნა

აკადემიური პერსონალი აკადემიური თავისუფლების ფარგლებში ირჩევს სწავლებისა და სწავლის მრავალფეროვან მეთოდებს, შეფასების კრიტერიუმებს და მათ შესაბამის ქულებს, რაც გაწერილი უნდა იყოს სილაბუსში. ამასთან, აკადემიური პერსონალი ვალდებულია:

- I. გაითვალისწინოს დიდაქტიკური კონცეფციის ძირითადი პოსტულატები;
- II. დაიცვას შეფასების სანდოობის, ვალიდურობის, ობიექტურობის, გამჭვირვალობისა და სისტემატურობის პრინციპი;
- III. შერჩეული მეთოდებით უზრუნველყოს სწავლის შედეგების მიღწევა.

მაგალითის სახით, იხილეთ აკაკი წერეთლის უნივერსიტეტში მოქმედი სილაბუსების რამდენიმე ნიმუში (დანართები (№ 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13).

4. სტუდენტთა პერსონალური განვითარების თვითშეფასება

სტუდენტთა პერსონალური განვითარების შეფასებისათვის საინტერესო და ინფორმაციულია თვითშეფასების მეთოდი PDP (Personel Development Plan). ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს საკუთარი ცოდნის ობიექტურად შეფასების უნარს, თვითკრიტიკისა და სწავლის პროცესის მართვის უნარს.

მეთოდი 3 ფაზისაგან შედგება:

თვითშეფასების I ფაზა (მსურს):

ამ ფაზაში სტუდენტი არკვევს და აზუსტებს, თუ რას ელის ის საკუთარი თავისაგან;

თვითშეფასების II ფაზა (შემიძლია):

ამ ფაზაში სტუდენტი ნათლად აყალიბებს, თუ რა შეუძლია მას და რა არ შეუძლია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რა არის მისი კომპეტენციები და აკმაყოფილებენ თუ არა ისინი მოხონებს სტუდენტისადმი? ამ კითხვაზე პასუხები გამოაშკარავებს არსებულ და სასურველ კომპეტენციებს შორის სხვაობას. შესაბამისად იკვეთება, თუ რა მიმართულებით უნდა გააქტიურდეს სტუდენტის ძალისხმევა;


თვითშეფასების III ფაზა (ვაკეთებ):

ამ ფაზაში (I, II ფაზების ბაზაზე) სტუდენტი აანალიზებს არსებულ და სასურველ სიტუაციას შორის სხვაობას. ეს სხვაობა იძლევა საშუალებას განისაზღვროს პრიორიტეტები და ჩამოყალიბდეს შემდგომი აქტივობების გეგმა.

5. უკუკავშირი

უკუკავშირი (ინგლ. Feedback) ეს არის ინფორმაციის გამცემისთვის იმის შეტყობინება თუ როგორ გავიგეთ ან როგორ შევაფასეთ ნათქვამი ანდა რა ემოციები და აზრები აღძრა ნათქვამმა ჩვენში. უკუკავშირის სისტემა ნათელყოფს, რამდენად გამართულად, ხარისხიანად, შედეგზე ორიენტირებულად მუშაობს სასწავლო პროცესის ყოველი დეტალი. სწავლა/სწავლება უკუკავშირის ერთ-ერთი ძირითადი ტიპია, ხოლო სასწავლო პროცესის წარმატებული წარმართვა უკუკავშირის ხარისხის მთავარი განმსაზღვრელი და მიზნის მიღწევის უმთავრესი საშუალებაა. უკუკავშირის გარეშე სწავლის პროცესის შედეგს ვერ გავზომავთ, ვერ შევაფასებთ. შედეგის გარეშე კი მთელი პროცესი აზრს დაკარგავს.

ამ პროცესის მართვა გულისხმობს კონტროლს ზემოდან ქვემოთ და პირიქით:



აქედან გამომდინარე, უკუკავშირი კომუნიკაციის ის ფორმაა, რომელიც წარმოადგენს ერთგვარ მიმართებას ინფორმაციული პროცესის მსვლელობასა და სწავლის შედეგს შორის და ამ გზით ასრულებს თავად სწავლის პროცესის მართვის ფუნქციას.

როგორც ვიცით, კომუნიკაციის პროცესი გულისხმობს, სულ ცოტა, ორ ადამიანს შორის ინფორმაციის გაცვლას. იგი, ნებისმიერი ურთიერთობის მსგავსად, წრიული ხასიათისაა: კომუნიკაცია მარტო იმაზე კი არ არის დამოკიდებული, რა ინფორმაცია გადასცა ერთმა მხარემ, არამედ იმაზეც, როგორ გაიგო და შეაფასა ეს გზავნილი მეორემ.

უკუკავშირისას მიღებული ინფორმაციის დამუშავებით ზუსტად ვხვდებით სტუდენტის მდგომარეობას. ამ დროს ლექტორის როლი გულისხმობს მიღებული ინფორმაციის გადამუშავებას, გააზრებას და მის საფუძველზე სწავლების პროცესში კორექტივების შეტანას.

ინტერაქტიული სასწავლო პროცესის დროს ლექტორი და სტუდენტი ბუნებრივად არიან ჩართული კომუნიკაციის პროცესში. ამ დროს უკუკავშირისთვის საკმარისია, მასწავლებელმა იკითხოს, როგორ გაიგეს მის მიერ გაცემული ინფორმაცია. დასმულ შეკითხვებზეა დამოკიდებული, თუ რა სახის ინფორმაციას მივიღებთ: მხოლოდ ცოდნის თუ არამედ უნარ-ჩვევების შესახებაც.

უკუკავშირი შეიძლება განხორციელდეს როგორც „ოთხ თვალს შორის“, ასევე ჯგუფშიც, მაგრამ ამ მეთოდის გამოყენებისას, უპირველეს ყოვლისა, ლაპარაკია ჯგუფურ მუშაობაზე, ჯგუფისადმი მიკუთვნებულობაზე და სამუშაო და სასწავლო ატმოსფეროზე ჯგუფში, რადგან უკუკავშირის სასწავლო ეფექტი და სარგებელი ჯგუფური შეხვედრების დროს ყველაზე დიდია. უკუკავშირის მეთოდი საკმაოდ წარმატებულად გამოიყენება უმაღლესი განათლების სისტემაში;

უკუკავშირს, ისევე, როგორც კონტროლს ორი ვექტორი აქვს: სტუდენტისკენ და ლექტორისკენ.

▪ უკუკავშირი, რომელიც მიმართულია სტუდენტისკენ ატარებს სასწავლო ხასიათს და ასრულებს კორექტივების, შეფასებისა და მოტივაციურ-მასტიმულირებელ ფუნქციას.

▪ უკუკავშირი, რომელიც მიმართულია ლექტორისკენ ატარებს მმართველობით ხასიათს და ასრულებს დიაგნოსტიკურ, შეფასებისა და კორექტირების ფუნქციას.

ლექტორის უკუკავშირი მოსწავლის მიმართ შეიძლება იყოს შემდეგი სახის:

▪ იგნორირება – იგნორირების შემთხვევაში ლექტორი არ აქცევს ყურადღებას სტუდენტს, მის მიერ შესრულებულ დავალებას თუ აქტივობას;

▪ უარყოფა – უარყოფითი გამოხმაურების შემთხვევაში ლექტორი სტუდენტის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს უარყოფითად ეხმაურება (მაგ. ეუბნება, რომ მან არასწორად შეასრულა დავალება, უკიდურეს შემთხვევაში, აყენებს შეურაცხყოფას).

▪ დადებითი – დადებითი გამოხმაურების შემთხვევაში ლექტორი აფასებს სტუდენტის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს დადებითად (აქებს და აძლევს მის ნამუშევარს მაღალ შეფასებას);

▪ კონსტრუქციული გამოხმაურება-კონსტრუქციული გამოხმაურების შემთხვევაში კი ლექტორი აკეთებს ისეთ კომენტარს, რომ ეს ხელს უწყობს სტუდენტის სწავლის უნარ-ჩვევის განვითარებას. კერძოდ, ლექტორი სტუდენტს ნათლად უხსნის, თუ სწავლის რა მეთოდების გამოყენებით არის შესაძლებელი მოცემული მასალის გაგება და ათვისება; ცდილობს დაეხმაროს სტუდენტს იმის გაცნობიერებაში, თუ რა სირთულეებს ხვდება იგი სასწავლო მიზნის მიღწევისას და აწვდის ისეთ გამოხმაურებას, უსახავს გზებს, რომელიც მას ხელს უწყობს სირთულეების დაძლევაში, ლექტორი ახალისებს სტუდენტს ეძიოს მისთვის მისაღები სწავლის სტრატეგია (VARK) და მიაღწიოს წარმატებას.

მეტად მნიშვნელოვანია, ლექტორმა მოახერხოს უკუკავშირის მეთოდის ეფექტური გამოყენება, რისთვისაც სასურველია გამოყენებულ იქნეს შემდეგი, აპრობირებული რეკომენდაციები:

ლექტორთათვის (უკუკავშირის გამცემისთვის):

✓ **აღწერეთ და არ შეაფასოთ** – უკუკავშირის გამცემი მხოლოდ აღწერს თავის პირად აღქმებს, გრძნობებსა და დაკვირვებებს, გასცემს რეკომენდაციებს, როგორ შეიძლება, მისი აზრით, პრობლემის მოგვარება. ამასთან, იგი არ საყვედურობს, არ იწყებს მორალის კითხვას.

✓ **თავდაპირველად მიაწოდეთ პოზიტიური უკუკავშირი, შემდეგ - კრიტიკა** - ასეთი მიდგომა

✓ მიმღებს კეთილად განაწყობს, იზრდება ნდობა და კრიტიკის მიმღებლობა.

✓ **გაეცით კონკრეტული უკუკავშირი** - უკუკავშირი უნდა იყოს კონკრეტული, ნათლად ფორმულირებული და გასაგები. ამის მისაღწევად საუკეთესო გზაა უკუკავშირის გამცემის მიერ პრაქტიკული მაგალითების მოყვანა საერთო სამუშაო გამოცდილებიდან. ზოგადი და აბსტრაქტული უკუკავშირი არაფრის მომცემია.

✓ **ილაპარაკეთ მხოლოდ საკუთარი პოზიციიდან** - უკუკავშირის გამცემისას აუცილებელია, გამოვიყენოთ პირველი პირი, მაგ. „მე მიმაჩნია...“ და არა „მიაჩნიათ“, „მიიჩნევენ“.

✓ **ურჩიეთ და არ აიბულოთ** - ნუ იქნებით დირექტიული, ეცადეთ, გქონდეთ თანამშრომლობითი ტონი.

✓ **სხვისი თვალთ შეხედეთ პრობლემას** - უკუკავშირის გამცემმა უნდა იფიქროს არა მხოლოდ საკუთარ მოთხოვნილებებზე, არამედ, პირველ რიგში, უკუკავშირის მიმღებისაზე. გაწონასწორებული უკუკავშირი ყველა მონაწილის მოთხოვნილებებს ითვალისწინებს.

✓ **გაეცით გამოსადეგი უკუკავშირი** - აზრიანმა უკუკავშირმა გავლენა უნდა მოახდინოს უკუკავშირის მიმღებზე.

✓ **მიაწოდეთ უკუკავშირი რაც შეიძლება მალე** - უკუკავშირი მით უფრო ეფექტიანია, რაც უფრო მყისიერად გაიცემა იგი, მაგრამ გასათვალისწინებელია, მზად არის თუ არა იმ დროს ამისთვის მიმღები.

სტუდენტებისათვის (უკუკავშირის მიმღებისთვის):

✓ **იყავით აქტიური მსმენელი** - ყურადღებით მოუსმინეთ უკუკავშირის გამცემს, თუ რაიმე ვერ გაიგეთ, დაუსვით კითხვები.

✓ **არ დაიწყეთ დაცვა და დაპირისპირება** - არ დაიწყეთ საკუთარი პოზიციის არგუმენტირება და დაცვა ისე, რომ ამან კონფლიქტამდე მიგიყვანოს.

✓ **იფიქრეთ იმაზე, უკუკავშირის დროს რომელი რჩევაა თქვენთვის სასარგებლო.**

✓ **დაუბრუნეთ უკუკავშირი უკუკავშირის გამცემს** - ეს შეიძლება მოხდეს მოგვიანებით, არაფორმალური საუბრის დროს. არ დაგავიწყდეთ, უთხრათ უკუკავშირის გამცემს, რა მოგცათ მისმა რჩევებმა, რომელი იყო განსაკუთრებით სასარგებლო, რაში არ დაეთანხმეთ. ასეთი მიდგომით უკუკავშირი შეიძენს წრიულ ხასიათს.

ამ რეკომენდაციების გათვალისწინება სწავლება-სწავლის ანუ კომუნიკაციის პროცესში ეფექტიანი უკუკავშირის დამყარების წინაპირობაა. უნივერსიტეტი თავის ვალდებულებად მიიჩნევს თითოეულ სტუდენტთან ინდივიდუალური მიდგომების დამკვიდრებას, რათა ხელი შეუწყოს მათ მიერ სოციალური ნორმებისა და კულტურული ღირებულებების ეფექტიანად გათავისებვას პროფესორ-მასწავლებლთა პროფესიონალიზმის, ავტორიტეტისა და პირადი მაგალითის მეშვეობით.

6. უცხო სიტყვათა ლექსიკონი:

Account for - ანგარიშვალდებულება

განაცხადის დასაბუთება, განმარტება, ახსნა.

Aim - მიზანი

მოდულის ან პროგრამის მიზანი არის სწავლებასთან დაკავშირებული განზრახვების ფართო, ზოგადი განაცხადი. მაგალითად, ის მიუთითებს რისი სწავლება/დაფარვა სურს მასწავლებელს გარკვეულ ერთეულში.

Analysis - ანალიზი

ინფორმაციის კომპონენტებად დაშლის შესაძლებლობა . მაგ., ურთიერთკავშირების, იდეების ძიება (ბლუმის ტაქსონომია).

Application - გამოყენება

ნასწავლი მასალის ახალ სიტუაციაში გამოყენების შესაძლებლობა. მაგ., იდეებისა და კონცეფციების გამოყენება პრობლემის გადასაჭრელად (ბლუმის ტაქსონომია).

Assess - შეფასება

რადაცასთან შედარება, აწონვა, დასაბუთება.

Assessment - შეფასება

წერილობითი, ზეპირი და პრაქტიკული ტესტების, გამოცდების, პროექტებისა და პორტფოლიოების ნაკრები, რომელიც გამოიყენება სტუდენტის პროგრესის განხილვისათვის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის ან მოდულის ფარგლებში.

Assessment criteria - შეფასების კრიტერიუმები

აღწერა იმისა, თუ რა უნდა გააკეთოს სტუდენტმა, რომ მოახდინოს მიღწეული სწავლის შედეგების დემონსტრირება.

Bologna Process - ბოლონიის პროცესი

უმადლესი განათლების ერთიანი ევროპული სივრცის შექმნის მცდელობა ევროპაში აკადემიური ხარისხებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების ჰარმონიზაციის მეშვეობით.

Compare - შედარება

ორ სფეროს შორის მსგავსების მოძიება.

Competences - კომპეტენციები

კომპეტენცია არის ატრიბუტების, შესაძლებლობებისა და დამოკიდებულებების დინამიური კომბინაცია. კომპეტენციების განვითარება არის საგანმანათლებლო პროგრამების მიზანი. კომპეტენციები ყალიბდება სხვადასხვა კურსების/მოდულების ფარგლებში და ფასდება სხვადასხვა საფეხურზე. ის შეიძლება გაიყოს დარგობრივ და ზოგად კომპეტენციებად (საერთოა ყველასთვის) ECTS-ის სახელმძღვანელო 2005.

Comprehension - გაგება

ნასწავლი ინფორმაციის გააზრებისა და ინტერპრეტაციის შესაძლებლობა (ბლუმის ტაქსონომია).

Constructive alignment - კონსტრუქციული თანწყობა/განლაგება

კურიკულუმის ჩამოყალიბება იმგვარად, რომ სწავლა-სწავლების აქტივობები და შეფასების დავალებები კოორდინირებული იყოს სწავლის შედეგებთან.

Continuous assessment - უწყვეტი შეფასება

შეფასება, რომელსაც ადგილი აქვს ნორმალური სასწავლო პერიოდის განმავლობაში და თავისი წვლილი შეაქვს საბოლოო შეფასებაში.

Contrast - კონტრასტი/განსხვავება

ორ სფეროს შორის განსხვავებების მოძიება.

Compare and contrast - შედარება და კონტრასტი

ორ სფეროს შორის საერთოს მოძიება და განსხვავებების ჩვენება.

Coursework - საკურსო დავალება

დავალება, რომელსაც ითხოვს საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსი ან მოდული.

Credit - კრედიტი

ერთეული, რომელიც გამოიყენება კრედიტებისა და ტრანსფერის ევროპულ სისტემაში (ECTS). ECTS-ის კრედიტები გამოიყენება სტუდენტის სასწავლო დატვირთვის გასაზომად.

Credit accumulation - კრედიტების დაგროვება

სისტემა, სადაც კრედიტების განსაზღვრული რაოდენობის დაგროვება აუცილებელია საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისათვის.

Criticise - კრიტიკა

მტკიცებულებების ან ახსნა-განმარტების გამოყენება, შეფასება არგუმენტების ან თეორიების ან მოსაზრებების მნიშვნელობის შესახებ.

Define - განსაზღვრა

სიტყვის ან ფრაზის ზუსტი მნიშვნელობის გადმოცემა.

Describe - აღწერა

დეტალური ახსნა- განმარტება საკითხის შესახებ.

Discuss -მსჯელობა/დისკუსია

განმარტება და საკითხის შესახებ მრავალმხრივი მოსაზრებების გამოთქმა.

Distinguish (differentiate)- გარჩევა (დიფერენცირება)

განსხვავებების ძიება.

Evaluation - შეფასება

მოცემული მიზნებისათვის მასალის ღირებულების/მნიშვნელობის დადგენის შესაძლებლობა (ბლუმის ტაქსონომია).

Examine - გამოკვლევა

გარკვეული სფეროს დეტალური შესწავლა.

Explain - ახსნა

სადისკუსიო თემაზე ან საკითხზე დეტალური ინფორმაციის მიწოდება.

Formative assessment - განმავითარებელი (ფორმატული) შეფასება

შეფასების ტიპი, რომელიც ინფორმაციას აძლევს მასწავლებელს და სტუდენტს იმის შესახებ, თუ როგორია სტუდენტის პროგრესია. განმავითარებელი შეფასება ჩვეულებრივად ხორციელდება სასწავლო კურსის განმავლობაში. იგი ეფუძნება იდეას, რომ მასწავლებლისგან მიღებული უკუკავშირი ეხმარება სტუდენტს სწავლის გაუმჯობესებაში.

Grading criteria - ქულების განსაზღვრის კრიტერიუმები

ინდიკატორი იმისა, თუ რისი დემონსტრირება უნდა მოახდინოს სტუდენტმა, რათა მიაღწიოს მოდულის ჩაბარებისთვის განსაზღვრულ მინიმუმზე უფრო მაღალ დონეს.

Identify - იდენტიფიცირება

არგუმენტის ან კონცეფციის არსის/ძირითადი საკითხის ამოცნობა და გადმოცემა.

Illustrate - ილუსტრირება

დისკუსიის განსაზღვრული სფეროების განმარტება მაგალითების მეშვეობით.

Justify - დასაბუთება/არგუმენტირება

გადაწყვეტილების მიღების ან დასკვნის ჩამოყალიბების საფუძვლების ახსნა. სავარაუდო ძირითად წინააღმდეგობებზე პასუხების ფორმულირება.

Knowledge - ცოდნა

ფაქტების გახსენების ან მოგონების შესაძლებლობა მათი აუცილებელი გააზრების-გაგების გარეშე (ბლუმის ტაქსონომია).

Learning outcomes - სწავლის შედეგები

განაცხადი იმის შესახებ თუ რა უნდა იცოდეს, გაიგოს/გაიაზროს და/ან რისი დემონსტრირება უნდა შეძლოს სტუდენტმა სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ.

Module - მოდული

სტუდენტის საგანმანათლებლო პროგრამის ავტონომიური, თვითკმარი ნაწილი, მკაფიოდ ჩამოყალიბებული სწავლის შედეგებით, შეფასების შესაბამისი კრიტერიუმებითა და გამოცდებით.

Objective - მიზანი

პროგრამის ან მოდულის მიზანი, არის სასწავლო განზრახვის სპეციფიკური განაცხადი. მაგალითად, ის მიუთითებს იმ სპეციფიკურ სფეროებზე, თუ რისი სწავლება სურს მასწავლებელს გარკვეულ ერთეულის ფარგლებში.

Outline - მონახაზი

საკითხის ძირითადი მახასიათებლების ან ზოგადი პრინციპების გადმოცემა. გამოტოვეთ დეტალები და ხაზი გაუსვით საკითხის სტრუქტურას.

Process - პროცესი

აქტივობების, ცვლილებების ან მოქმედებების სერია, რომელსაც მიყვავართ ცვლილებამდე.

Rubric - რუბრიკა

კლასიფიცირების ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება სტუდენტების მიღწევების კლასიფიცირებისას. ამდენად, რუბრიკა არის მკაფიო გზამკვლევი იმისათვის, თუ როგორ შეფასდება სტუდენტის შრომა. საზოგადოდ, თითოეული რუბრიკა მოიცავს კრიტერიუმების ნაკრებს და ამ კრიტერიუმებთან დაკავშირებულ ნიშნებს/ქულებს ან დონეებს.

State - მდგომარეობა/განცხადება

მოკლე, მკაფიო ფორმით წარდგენა, დამატებითი ახსნა-განმარტებების გარეშე.

Summarise - შეჯამება

სფეროს/საკითხის მოკლე, მკაფიო აღწერა. გადმოეცით ძირითადი საკითხებიდა გამოტოვეთ დეტალები (იხ. ასევე მონახაზი) ან ანგარიში.

Summative assessment - განმსაზღვრელი შეფასება

შეფასება, რომელიც ცდილობს შეაჯამოს სტუდენტის სწავლა დროის გარკვეული მონაკვეთისთვის - ჩვეულებრივად მოდულის/კურსის დასასრულს. განმსაზღვრელი შეფასება იმ ნიშნის დაწერის საშუალებას იძლევა, რომელიც ასახავს სტუდენტის მიღწევას.

Synthesis: სინთეზი

ნაწილების გაერთიანების შესაძლებლობა (ბლუმის ტაქსონომია).

Taxonomy - ტაქსონომია.

გარკვეულ კრიტერიუმებზე დაფუძნებული კლასიფიკაცია.

ვალიდური - დასაბუთებული, სარწმუნო.

კონცეფცია - შეხედულებათა სისტემა; მოვლენის ასეთი თუ ისეთი გაგება. ნაწარმოების, თხზულების ძირითადი აზრი.

მონიტორინგი - გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვებისა და მიღებული ინფორმაციის ანალიზისა და პროგნოზირების ერთიანი სისტემა.

რელევანტური - არსებითი, ფასეული, მნიშვნელოვანი.

ტრანსფერი - ერთგვარ სიტუაციაში ნასწავლის სხვაგვარ, განსხვავებულ სიტუაციაში გამოყენება.

უნიფიცირებული - საერთო ნორმაზე გადაყვანა; გაერთიანება.

ჰენდაუტი - თეზისების ფურცელი, რომელიც მიჰყვება რეფერატის ძირითად ხაზს და ყურადღებას ამახვილებს ძირითად საკითხებზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დეკლან კენედი, სწავლის შედეგების ჩამოყალიბება და დანერგვა, პრაქტიკული სახელმძღვანელო, 2006წ.
2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №102/ნ 2016 წლის 18 აგვისტო)
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3380052>
3. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ
4. შეფასების ძირითადი პრინციპები, ტიპები, ინსტრუმენტები, მეთოდები. თბილისი, 2009.
5. ჯანაშია ს., ქიტიაშვილი ა., (2009), „როგორ შევადგინოთ პედაგოგიური ტესტები“. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, ვებ-გვერდი: <http://ganatleba.org/index.php?m=126>.
6. ი. ბასილაძე, მ. ახვლედიანი, ნ. სოხაძე, ნ. დვალი, მოკლე საგანმანათლებლო დიდაქტიკური ლექსიკონი, 2009წ
7. Allen, M., Noel, R. C., Rienzi, B. M., & McMillin, D. J. (2002). Outcomes assessment handbook. Long Beach: California State University, Institute for Teaching and Learning.
8. Association for Middle Level Education. (2013). Retrieved from:
<http://www.aml.org/Publications/WebExclusive/Assessment/tabid/1120/Default.aspx>
9. ECTS Users' Guide (2005) Brussels: Directorate-General for Education and 55 Culture. Available online at:
http://ec.europa.eu/education/programmes/socrates/ects/doc/guide_en.pdf
10. Shuell, T. J. (1986) Cognitive conceptions of learning, Review of Educational Research, 56: 411-436.
11. University of Connecticut Assessment. (2013). Choosing the right assessment tool. Retrieved from:
http://assessment.uconn.edu/docs/Choosing_the_Right_Assessment_Tool.pdf